№ 112

1877—1905

№ 112

პარასკევი, 8 ივლისი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

# ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პარასკევი, 8 ივლისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

## რედაქციისაგან

„ივერიის“ რედაქცია ამითი აცნობებს თავის ხელის მომწერთ, რომ, ვისაც გაზეთის ფასი მხოლოდ 1 ივლისამდე აქვს შემოტანილი და შემოსატანს ფულს დააგვიანებს, გაზეთი აღარ გაეგზავნება.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

**გაზეთის ფასი:** 1 ივლისიდან წლის დამლევამდის 5 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

**ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.**

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

**საფოსტო ადრესი:** Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**მ. ჟ. ჩიქოვანი.**—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**გ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი**—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი**—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**მ. ა. თარხანოვი**—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

**ხ. ქ. აბიანცი**—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

**პ. ა. არდაზიანი.**—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

**ს. ტ. არჯანიტაკი.** 11—1 [illegible] ებს მასსაჟს მღვრელთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

**Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.**

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.** წლ.

---

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

**გადავიდა:** ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

---

**კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

---

**გძელიშვილი კონსტანტინე**—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

---

**ალექსი-მესხიშვილი,** სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

---

**გ. ს. მუსხელიშვილი**—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

---

**დიასამიძე ალექსანდრე**—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

---

**ვაწაძე სპირიდონ**—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**გაბაშვილი გრიგოლ**—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

---

**ბესარიონ პაპოვი**—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

## როგორ დამშვიდდეს ხალხი?

რუსეთის ყოველი კუთხიდან გაისმოდა, რომ აღელვებულ ხალხის დასამშვიდებლად ხალხის წარმომადგენელთა დაუყოვნებლივ მოწვევა არის საჭირო. ყველა განცხადებისა და პეტიციის საერთო აზრი ეს იყო, ყველა იმ პეტიციისა, რომელიც 18 თებერვლის ბრძანების ასრულებას ითხოვდა.

ამ რჩევამ უნაყოფოდ არ ჩაიარა: ცოტა ხანში წარმომადგენელთა მოწვევა დაპირებულია...

მაგრამ მაინც არ დამშვიდდა რუსეთი—უკანასკნელ დღეების ამბები ოცნების საღერღელ-აშლილ ადამიანისათვისაც კი მოულოდნელი გამოდგა,—გახშირდა საპოლიტიკო მკვლელობა.

საზოგადოების ყველა ნაწილში ვრცელდება, ფეხს იკიდებ ქ იზრდება უკმაყოფილება და მღელვარება. ხელ-ფეხ შეკრული პრესსა ოდნავ ახერხებს ეს აღელვება სისრულით გამოხატოს, მაგრამ მაინც ყველასათვის ცხადია, რომ საზოგადოებრივ ძალთა ურთიერთობა გამწვავდა, რომ ამ გამწვავებას შეიძლება საშინელი შედეგიც მოჰყვეს...

ხალხი, ომიანობამდისაც დატანჯული, ამ უკანასკნელ წელიწად-ნახევრის განმავლობაში, სრულებით გაღარიბდა და გაიტანჯა... ხალხს ენატრება მშვიდობიანი ცხოვრება, ენატრება ის დრო, როდესაც საზოგადო ცხოვრება გარკვეულ კალაპოტში ჩადგება...

ზნეობრივ კრიზისთან ერთად ხალხს ქონებრივი, ეკონომიური კრიზისიც აწუხებს. მრეწველობა მოდუნდა, ვაჭრობა შესუსტდა, შემოსავალმა იკლო, სოფელს ასი-ათასობით მუშა-ხალხი მოშორდა, კრედიტი არ არის.

არა, ასე ცხოვრება არ შეიძლება,—სად არის შინაური მშვიდობიანობა, მისი არ სჯერა არავის.

და ამ ისტორიულ ტრაგედიის მიზეზებიც ხომ ყველასათვის ცხადია.

ხალხის მოწინავე ელემენტები თითქმის ერთხმად აღიარებენ, რომ ბიუროკრატიის რეჟიმის უმნიშვნელო შესწორება ან შეკეთება, რომელსაც კანცელარიებში ამზადებენ ამჟამად,—საქმეს ვერ არგებს; ხალხი ითხოვს რეჟიმის ნამდვილ შეცვლას, ხალხს უნდა ისეთი რეჟიმი, სადაც ხალხის ხმას შინაურ პოლიტიკაში ნამდვილი მნიშვნელობა ექმნება, ნამდვილი გავლენა. ამას ხალხი თანდათან უფრო გარკვევით ითხოვს, რაკი ყოველდღიური ცხოვრება აშკარად ამტკიცებს, რომ ქვეყნის გამგეობის წესები დღესაც შეუცვლელია... დღესაც იგივე სიტყვის, პრესსის, კრებების თავისუფლების შეზღუდვა არის; განსაკუთრებული კანონები და წესები რუსეთის სხვადასხვა კუთხეში შემოაქვთ; ადმინისტრაციის წინანდელი თვითნებობა და მშვიდობიანობის დასამყარებლად ისევ ძველებური საშუალება.

საზოგადოება ახალ სიოს ვერსად ვერა გრძნობს, ვერ ხედავს ახალ მიმართულებას და იმიტომ მას საბუთიც აქვს იფიქროს, რომ სათათბირო სახელმწიფო საბჭოს დაარსების შემდეგაც ყველაფერი უცვლელად დარჩება.

ყველა, თითქმის ყველა რუსეთში ასე უყურებს საქმეს. მომავლის იმედი არა აქვს არავის,—დამშვიდებაც არ არის ამიტომ. ნუ დავივიწყებთ, რომ წინ ხალხს მოელის კიდევ ომის დასრულება, ზავი, რომელიც ყველას ჯიბეს მოხვდება მაგრად...

და სანამ ჯერ კიდევ სულ გვიან არ არის, ვიმეორებთ, რომ ხალხის დასამშვიდებლად აუცილებლად საჭიროა ის რეფორმა, რომელიც უზრუნველ ჰყოფს მართვა-გამგეობის უფრო შესაფერ და საზრიან სისტემას რუსეთში. სულ ერთია, ეს ცვლილება მაინც შემოვა,—დედამიწაზე სახელმწიფო წყობილების განვითარებას ყველგან ამ გზით გაუვლია,—და ისევ ჩათრეულს ჩაყოლილი სჯობია, სჯობია ისევ შემოვიდეს ცხოვრებაში ცვლილება, რომელიც ბევრს დაამშვიდებს რუსეთში!... (ნ).

◆

## წარმომადგენლობითი სახელმწიფო

(ა. ჯივილეგოვისა)

1848 წლის მოძრაობამ დასავლეთ ევროპაში არც ერთი თვითმპყრობელი სახელმწიფო აღარ დასტოვა.. მართალია, ზოგან, როგორც, მაგ., ავსტრიასა და ნეაპოლში, ან საფრანგეთის მეორე იმპერიაში, კიდევ ერთ ხანს ნამდვილ თვითმპყრობელობის წესები რჩებოდა, მაგრამ იქაც სცდილობდნენ ამ თვითმპყრობელობისთვის გარეგნად მაინც წარმომადგენლობითი ფორმები მიეცათ,—შემდეგ კი თანდათან თვითმპყრობელობის უკანასკნელი ნაშთიც მოისპო ყველგან და დასავლეთ ევროპის ყველა კუთხეში გაბატონდა წარმომადგენლობითი წეს-წყობილება. ყოველი თანამედროვე განათლებული სახელმწიფო უთუოდ წარმომადგენლობით სახელმწიფოა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხი იქ მონაწილეობას იღებს კანონმდებლობაში და მისს ასრულებასაც თვალყურს ადევნებს. სახელმწიფო უფლება საკონსტიტუციო მონარქიებში განაწილებული აქვს ერთმანეთში ხალხსა და ხელმწიფეს, რესპუბლიკებში კი ეგევე უფლება ხალხს სხვადასხვა პირისთვის ან დაწესებულებისათვის აქვს მინდობილი.

მაგრამ ესეც არ კმარა. თანამედროვე სახელმწიფოს საკონსტიტუციო სახელი სხვა საფუძველითაც დაერქმის. დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ იქ მთავრობის უფლება არ არ არის უსაზღვრო.

მართლაც, ის სახელმწიფო, რომლის მთავრობასაც მის მოქმედებისთვის არავითარი საზღვარი არ უდევს,—საკონსტიტუციო სახელმწიფო არ არის, ვინაიდან მას უფლებრივი რეჟიმი აკლია. ხალხს რომ მივანიჭოთ საკანონმდებლო უფლება, ეს კიდევ საკმარისი არ არის უფლებრივ წყობილების დასამყარებლად: არ შეიძლება, განა თვით რესპუბლიკაში არ შეიძლება აღვირ-ახსნილი დესპოტიზმი დამყარდეს? და საკონსტიტუციო მონარქიებშიადმინისტრატიულ-საპოლიციო რეჟიმი ხომ ხშირად ნამდვილ თვითმპყრობელობის იარაღად არის გადაქცეული. სახელმწიფოში უფლებრივ წყობილების დასამყარებლად საჭიროა, რომ თვით სახელმწიფოს უფლებრივი ხასიათი მიეცეს, საჭიროა, რომ წესწყობილების მიუხედავად, თვით სახელმწიფო უფლება, თვით მთავრობის მოქმედება შეზღუდული შეიქმნეს. დასავლეთ ევროპის თანამედროვე სახელმწიფოებსაც იმიტომ ერქმევა უფლებრივ სახელმწიფოების სახელი, რომ იქ მთავრობის უფლება არ არის უსაზღვრო, რომ მთავრობის მოქმედება იქ წინდაწინვე განსაზღვრულია.

განსაზღვრულია მთავრობის დამოკიდებულება ქვეშევრდომებთან. მთავრობა აცხადებს, რომ ამ მხრივ მისგანვე ცნობილ საზღვარს არ გადასცილდება,—ამ აკრძალულ სამთავროში გადასვლა მთავრობას მხოლოდ სასამართლოს ნებართვით თუ შეუძლია და ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეშევრდომმა რითიმე დაარღვია არსებული კანონი, სადაც ამიტომ სასამართლო, თავის გადაწყვეტილების ძალით, ქვეშევრდომს ზოგიერთ უფლებას უსპობს... დანარჩენ შემთხვევაში კი მოქალაქეებს აქვთ მინიჭებული ზოგიერთი ისეთი უფლება, რომელიც თვით მთავრობისათვისაც ხელუხლებელია. ამ უფლებებს ეძახიან პირად და საზოგადო თავისუფლებას, ან საზოგადოებრივ უფლებებს, ან სამოქალაქო უფლებებს... მაგრამ სახელს დიდი მნიშვნელობა არა აქვს. აქ უმთავრესი ის არის, რომ მთავრობა სცნობს მოქალაქეთა ზოგიერთ უფლებების ხელუხლებლობას და ამით თავის საკუთარ ძალას წინდევე საზღვრავს.

ამნაირად, ერთის მხრივ, ხალხის მონაწილეობა კანონმდებლობაში, მისგან კანონების შესრულების თვალყურის დევნა,—და, მეორეს მხრივ კი, მთავრობისაგან საკუთარ უფლების განსაზღვრა,—ეს ორი გარემოება თანამედროვე უფლებრივ სახელმწიოს ახასიათებს. ახლა რომ გვკითხოს ვინმე, თუ რა არის უფლებრივი სახელმწიფო, შეგვიძლიან ვუპასუხოთ,—რომ ეს ისეთი სახელმწიფოა, სადაც მთავრობა ემორჩილება კანონმდებლობისაგან მიღებულ კანონებს. უფლებრივი სახელმწიფო კანონის ბატონობაა.

მაგრამ რითი შეიძლება უფლებრივ სახელმწიფოში კანონის მუდმივი ასრულება იყოს უზრუნველყოფილი? ფორმალურად საამისოდ არის—დაწერილი კონსტიტუცია, ნამდვილად, ფაქტიურად კი—კანონს ამაგრებს საზოგადო ძალთა შესაფერი მოწყობა.

დაწერილ კონსტიტუციაში ჩამოთვლილია ხოლმე მთავრობისა და მოქალაქეთა უფლებამოვალეობა; აღმასრულებელ, სამოსამართლო და საკანონმდებლო უფლების იურიდიული საზღვრები აღნიშნულია,—კონსტიტუცია ძირითადი კანონია, რომელიც სახელმწიფოში არსებულ სხვა კანონებზე მაღლა სდგას.

არის ერთი სახელმწიფო—ინგლისი—სადაც ერთხელვე შედგენილი და ჩამოწერილი კონსტიტუცია არ არის სრულებით. იქ რამოდენიმე კანონი არსებობს, რომელიც, შეიძლება, საკონსტიტუციო კანონებად მივიღოთ, მაგრამ არც ერთს ძირითად კანონის მნიშვნელობა არა აქვს მინიჭებული. მათი ძალა ისეთივეა, როგორც რომელისამე უბრალო კანონის ძალა... ეს გარემოება ხშირად გზას უბნევს იურისტებს, რომელნიც სცდილობენ მას თეორიული განმარტება გამოუნახონ,—ისტორიულად კი ეს ფაქტი ადვილი ასახსნელია. სახელმწიფო წესწყობილება ინგლისში შენდებოდა თანდათან, და ყოველი ნაბიჯი გამოიხატება ხოლმე რომელსამე კანონში. იქ საჭიროც არ იყო ერთად თავის მოყრა ყველა ამ კანონებისთვის, და ინგლისელებს ამიტომ დღემდისაც არა აქვთ ქაღალდზე შემუშავებული, ერთ კანონად გამოცემული კონსტიტუცია. მაგრამ, ამის მიუხედავად, ინგლისის წესწყობილება უკეთესად არის დაცული დარღვევისაგან, ვიდრე სხვა სახელმწიფოებში, სადაც არსებობს შემუშავებული და ჩამოწერილი კონსტიტუცია.

დაწერილი კონსტიტუცია,—რომელიც შემოვიდა პირველად ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში და რევოლუციის დროს საფრანგეთშიაც,—საჭირო იყო, რადგანაც იქ ხალხმა ახლად შეიძინა მედგარის ბრძოლით თავისუფლება და თავი ბატონად გამოაცხადა სახელმწიფოში,—საჭირო იყო, ამიტომ, სახელმწიფო უფლების გარკვევა, მთავრობის მოწყობა. კონსტიტუციაში იყო აღნიშნული, თუ რა პირობით ანდობდა ხალხი მართვა-გამგეობის საქმეებს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებას

ხალხისგან შედგენილ კონსტიტუციის გარდა, შემდეგში შემოვიდა სხვაგვარი კონსტიტუციაც,—მეფისაგან ბოძებული კონსტიტუცია. ასეთი იყო, მაგ., საფრანგეთში 1814 წლის დებულება, რომელიც მეფე ლუდოვიკო XVIII-მ უწყალობა ხალხს. ამნაირ კონსტიტუციას სულ სხვა მნიშვნელობა და ხასიათი აქვს, ვიდრე იმას, რომელსაც თავის ნებით შეადგენს ხალხი. აქ კონსტიტუციას იძლევა მეფე, რომელიც ზოგიერთ თავის უფლებაზე ნებაყოფლობით უარს აცხადებს. ხალხი ხშირად ხელმწიფის ამნაირ წყალობას არ იღებს, უარს ამბობს და აცხადებს, რომ კონსტიტუციაში უნდა იყოს აღნიშნული ხალხის უმთავრესი უფლებაც. ამ მოთხოვნასაც თავისი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან კონსტიტუციის შეცვლის საქმეც შემდეგში დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხასიათი აქვს კონსტიტუციას! ხალხი კონსტიტუციის შედგენაში რომ სცდილობს მონაწილეობის მიღებას, ამით შემდეგში თავის თავს უზრუნველ-ჰყოფს ყოველგვარ მოულოდნელ შემთხვევისაგან.. ასე იყო, მაგ., ვიურტენბერგში, სადაც ხალხმა 1815 მეფისაგან მიცემული კონსტიტუცია არ მიიღო,—ბრძოლა ოთხ წელიწადს გაგრძელდა და ბოლოს, 1819 წ., შეთანხმებაზე აგებული კონსტიტუცია იქმნა გამოცემული. ამნაირივე ხასიათი აქვს საქსენ-ვეიმარის კონსტიტუციასაც, რომელიც 1816 წ. გამოიცა ძ არის მეცხრამეტე საუკუნეში ევროპის თითქმის უძველესი კონსტიტუცია. ამ ორ კონსტიტუციის შესაცვლელად სხვადასხვა წესია, თუმცა ორსავე შემთხვევაში მეტად გაძნელებულია წინანდელ წესების აღდგენა. 1819 წ. ვიურტენბერგის კონსტიტუციაში მის გადასინჯვის ან შეცვლის შესახებ არაფერი არ სწერია,—ეს კონსტიტუცია—სამუდამოა, საქსენ-ვეიმარის კონსტიტუციის შეცვლა კი მეფისა და ხალხის ახალ შეთანხმებაზეა დამოკიდებული. საქსენ-ვეიმარის წესი შემოღებულია გერმანიის სხვადასხვა კონსტიტუციებში, რომელიც შეთანხმებაზეა აშენებული და 1818—1831 წწ. გამოცემული. რომანების და სკანდინავთა სახელმწიფოებშიაც უმთავრესად ასეთსავე შეთანხმებაზე აგებული კონსტიტუციები არის შემოღებული. მეფისაგან არის მოცემული კონსტიტუცია გერმანიასა და პრუსსიაში, და აქ ამ კონსტიტუციამ დაიჭირა 1848 წელს გამოცემულ სარევოლუციო და შეთანხმებაზე აგებულ კონსტიტუციის ადგილი.

ჯერ კიდევ დიდი ხანი არ არის გასული მას შემდეგ, როდესაც ეგონათ, ვითომც დაწერილი კონსტიტუცია ხალხისაგან ახლად შეძენილ საპოლიტიკო უფლებებს თავის-თავად უზრუნველჰყოფდეს. ამჟამად აზრი შეიცვალა და ყველა სხვა თვალით უყურებს საქმეს. დაწერილ კონსტიტუციას შეუძლიან ორნაირი გარანტია წარმოადგინოს: ეს არის ხელმწიფის ან აღმასრულებელ დაწესებულების ფიცი და მინისტრების პასუხისმგებლობა პარლამენტის წინაშე. მაგრამ ეს უკანასკნელი გარანტია ყველა კონსტიტუციაში არ არის და იქაც, სადაც ეს პასუხისმგებლობა არსებობს, მას არ შეუძლიან კონსტიტუციის დარღვევა ყოველთვის გახადოს შეუძლებლად. რაც შეეხება ფიცის დადებას, მას ხომ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; ფიცსა რამე ძალა რომ ჰქონოდა პოლიტიკაში, არც ერთ სახელმწიფოში არ მოხდებოდა რევოლუცია. კონსტიტუციის რომელისამე მუხლის გასამაგრებლად სხვა მუხლებში რომ იყოს ნახსენები რაიმე სხვა საშუალება, ამ მუხლებსაც ხომ კიდევ სხვა გასამაგრებელი მუხლები დასჭირდებოდა. ძალით მათ შესასრულებლად რაიმე ორგანიზაცია რომ ყოფილიყო შემოღებული, მაშინ ხომ ეს დამატებითი მუხლებიც აღარ იქმნებოდა საჭირო და თვით კონსტიტუციის მთავარ მუხლების დაცვისთვის ამავე ძალის ხმარება იქმნებოდა შესაძლო...

ყოველ დაწერილ კონსტიტუციის ნამდვილი გარანტია საზოგადო ძალთა ისეთი მოწყობა არის, რომ მას შეეძლოს დაწერილ კონსტიტუციაში აღნიშნულ საპოლიტიკო წეს-წყობილების დასამხობად მომართულ მისწრაფების მოსპობა. თავისს ცნობილ სიტყვაში ფ. ლასსალი ამბობს. „კონსტიტუცია უფლებაზე კი არ არის დამყარებული, არამედ ძალაზე. სახელმწიფოს ნამდვილი კონსტიტუცია ხალხში გაბატონებულ ძალთა ურთიერთობის გამომხატველია. დაწერილ კონსტიტუციას მხოლოდ მაშინ ეძლევა ფასი, მხოლოდ მაშინ შეუძლიან არსებობის შერჩენა სახელმწიფოში, როდესაც საზოგადოებაში არსებულ ძალთა ურთიერთობას გამოხატავს სისწორით“.

ფ. ლასსალი ნათლად და მკაფიოდ ახასიათებს საქმის ნამდვილ მდგომარეობას. თუმცა ინგლისში დაწერილი კონსტიტუცია არ არის, მაგრამ არსად არსებული წესწყობილება არა სდგას ისე შეურყევლად, როგორც ამ სახელმწიფოში. ამ წეს-წყობილების ნამდვილი ძალა ის არის, რომ მთელი ხალხი, როგორც ერთი ადამიანი, ამხედრდება მაშინვე, თუ გაიგო, რომ წეს-წყობილებას რაიმე ხიფათი მოელის. ერთ ინგლისელს ჰკითხეს: რას იზამდი, რომ მინისტრს ლორდ სოლსბერის რამე გადასახადი შემოეღო პარლამენტის დაუკითხავად?—„არ გადვიხდიდი“,—მიუგო ინგლისელმა!—იმან რომ თავისი ძალა იხმაროს და ფულის გადახდა რომ გაიძულოს?—„ძალას ძალითვე ვუპასუხებდი და, დარწმუნებული ვარ, რომ ხალხი სოლსბერის იმავე დღესვე ჩამოაღრჩობდა“.

ჩვეულებრივ პირობებში ინგლისელს ასეთი უკიდურესი ზომები არა სჭირია. მას ჰყავს სასამართლო, რომელიც დაუღალავად თვალყურს ადევნებს იმას, რომ არავინ არ დაარღვიოს კანონი. სახელმწიფოში ყველა ვალდებულია აასრულოს კანონი. მინისტრიდან დაწყებული უკანასკნელ დღიურ მუშამდის,—ყველა თავის მოქმედებისთვის პასუხის მგებელია კანონის წინაშე, და შინაგან საქმეთა მინისტრმა ვითომდა სახელმწიფოს, სარგებლობისთვის თუ გაბედა რომელსამე კანონის დარღვევა,—სასამართლო ამნაირ თავის მართლებას არავითარ ყურადღებას არ მიაქცევს, დამნაშავედ სცნობს მას და მის ხელქვეითებსაც, რომელთაც შეასრულეს მისი უკანონო ბრძანება. ინგლისში სახელმწიფო სამსახურის კაცებს არ შეუძლიათ თავის მართლება იმითი, რომ უფროსისაგან ნაბრძანები მქონდაო.

სადაც კანონის დასაცველად შესაფერი სამოსამართლო ორგანიზაცია არ არის, სადაც ამავე მიზნით ხალხის ორგანიზაცია არ არის შემოღებული,—იქ დაწერილი კონსტიტუციაც ყოველსავე ნამდვილ ძალას მოკლებულია. 1848 წელს მაინც ხშირი იყო ასეთი კონსტიტუციები,—თავისუფლებისთვის მებრძოლთა მედგარმა იერიშმა დაუბნია გზა კვალი რეაქციას და სამოქმედო ასპარეზიდან ადვილად ჩამოიშორა. მაგრამ თებერვლისა და მარტის დემოკრატთა ძალა საკმარისი არ გამოდგა ერთხელვე დაჭერილ პოზიციების შესარჩენად. მათ ყოველგან მოახერხეს, ყოველგან მოასწრეს კონსტიტუციების შემოღება, მაგრამ, როდესაც გონზე მოსულმა რეაქციამ ისევ მოიკრიფა ძალღონე და წართმეულ უფლებათა დაბრუნებას შეუდგა,—დემოკრატებმა ვერ მოახერხეს გამაგრება და დაწერილი კონსტიტუციები მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, ყოველისავე ძალას მოკლებული და უმნიშვნელო. საფრანგეთში 1848 წ. კონსტიტუციამ, შედარებით, დიდ ხანს გასტანა,—სამის წლის განმავლობაში არ მოსპობილა; გერმანიაში კი ადგილობრივ კონსტიტუციების უმეტესობა და თვით ფრანკფურტის საერთო კონსტიტუცია ერთ წელიწადზე ადრეც გაუქმდა სრულებით. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია ფრანკფურტში 1848 წლის გამოცემული კონსტიტუცია: მისი ბედი გვიჩვენებს იმ გზას, რომლითაც არ უნდა ეცადოს ადამიანი ერთხელვე მიღებულ უფლებათა შერჩენას. საზოგადო ძალთა მოწესრიგების, ცხოვრებაში დემოკრატიულ ძალთა გაძლიერების მაგივრად, 1848 წლის მოღვაწეები კონსტიტუციის სხვადასხვა მუხლის ჩამოწერაზე დროს ჰკარგავდნენ და ჰკარგავდნენ ამითი რევოლუციის დროს მიღებულ უფლებებს.

რაც შეეხება სამოსამართლო ორგანიზაციას,—საფრანგეთის დიდის რევოლუციის ისტორიამ აშკარად დაამტკიცა მისი ნამდვილი მნიშვნელობა ხალხისთვის. საფრანგეთში ხალხმა ძლიან იშოვნა თავისუფლება, თვითმპყრობელობის მაგივრად, საკონსტიტუციო მონარქია შემოიღეს, შემდეგ მის მაგივრადაც რესპუბლიკა მოიწყეს; მაგრამ დაავიწყდათ და ვერ მოაწყეს ისეთი სასამართლო, რომელიც შემდეგში მათგან მიღებულ უფლების დამცველი გამოდგარიყო. პირიქით, იაკობინელთა დემოკრატიულ რესპუბლიკის დროს გამოსცეს კიდეც კანონი, რომელიც VIII წლის კანონად დაედო სარჩულად და რომელიც სახელმწიფო მოხელეთა პასუხისგებაში მიცემას მის უფროსების ნებადაურთველად სასამართლოს უკრძალავს. ამნაირ პირობებში 18 ბრიუმერის ამბავი საკვირველი არ არის.

ინგლისელებმა და ამერიკელებმა თავიანთ უფლებათა დასაცველად მთელი სახელმწიფო წეს-

წყობილება დამოუკიდებელ სასამართლოების მფარველობის ქვეშ დააყენეს და თეორიამაც ასეთი წესი მიიჩნია საუკეთესოდ. სადაც შესაფერი სამოსამართლო ორგანიზაცია არ არის შემოღებული,—სასამართლოს მაგიერობა შეიძლება თვით საზოგადოებას ექმნეს გადაცემული; თვით ხალხს შეუძლია საჭიროების დროს თავის კონსტიტუციის დასაცველად ამხედრდეს. ამისათვის სრულებით არ არის საჭირო მუდამ იარაღის დაჭერა ხელში,—საჭიროა მხოლოდ, რომ ხალხი თავის ძლიერებას ჰგრძნობდეს და მზად იყოს მის დასაცველად იბრძოლოს და თავიც შესწიროს ბრძოლაში.

# დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

6 ივლისი.

**ჰელსინგფორსი**, 6 ივლისა. 3 საათსა და 20 წუთზე, როდესაც სენატში კრება გათავდა, სენატის მოედანზე ყუმბარა ესროლეს გენერალ-გუბერნატორის თანაშემწეს დიტრიხს, რომელიც დაიჭრა ხელსა, ორსავე ფეხსა და წელში. პირველი დახმარება აღმოუჩინეს რუსის ექიმებმა ეფიმოვმა და გაბასოვმა, აგრეთვე ფინლიანდიის პროფესორმა კროგიუსმა. სასიკვდილო არა სჭირს-რა. დამნაშავე მიიმალა. აფეთქებას ისეთი ძალა ჰქონდა, რომ ახლო-მახლო შენობების ფანჯრები ერთიანად ჩაიმტვრა. გამოძიება სწარმოებს.

**ოდესა**, 6 ივლისა ილიის მონასტერს ნიშში ვიღაც უცნობმა რევოლვერი ესროლა და მძიმედ დასჭრა წინამძღვარი და იქვე მყოფი ერთი ქალი. სროლის გაგონებაზე მოიჭრა პოლიციელი და უცნობი კაცი მოჰკლა.

**ბუდაპეშტი**, 6 ივლისა. გუშინ მოვიდა რუსეთიდან გამოსული 150 ებრაელი, რომელთაც აქ დასახლება უნდოდათ. პოლიციამ აიძულა ისინი, ვენაში წასულიყვნენ.

**პეტერბურგი**, 5 ივლისა. მინსკის სასულიერო კონსისტორიის ცნობებით, ის ხმები, რომ მინსკის გუბერნიაში ბევრმა ყოფილმა უნიატმა მიიღო კათოლიკობაო, ძალიან გადაჭარბებული უნდა იყოს.

**ეკატერინბურგი**, 6 ივლისა. 5,000-მა „სტაროობრიად"-მა, რომლებიც ურალის მთებში შეიყარნენ, პარაკლისი გადაიხადეს და ღმერთს რუსების გამარჯვება სთხოვეს.

**ვილნა**, 6 ივლისა. „ლიტ. ეპ. ვედ."-ში დაბეჭდილია არქიეპისკოპოსის ნიკანდრის მოწოდება, რომელშიაც ურჩევს მართლ-მადიდებლებს, მტკიცედ იდგნენ თავის სარწმუნოებაზე და კათოლიკობა არ მიიღონ.

**სოფია**, 6 ივლისა. სერბიისა და ბულგარიის სავაჭრო ხელშეკრულობაზე მოლაპარაკება დამთავრდა.

**ქრისტიანია**, 5 ივლისა. შვეციის რიკსდაგის კომიტეტი მომავალ კვირაზე დაამთავრებს ნორვეგიის განცალკევების საკითხის განხილვას. კომიტეტის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებენ.

**ზარაისკი**, 6 ივლისა. ქალაქის თვითმართველობამ ერთხმად გადასწყვიტა, შუამდგომლობა აღძრას საშუალო ტეხნიკურ სასწავლებლის დაარსების შესახებ.

**არდატოვი**, 6 ივლისი. სოფელ ტეტიუშის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს სოფელში საერობო პროფესიონალურ სასწავლებლის დაარსების შესახებ.

**კანეა**, 6 ივლისი. გამოაქვეყნეს ელჩების ცნობა ნაციონალურ კრების მოწვევის შესახებ, რათა უზრუნველჰყონ სიტყვის თავისუფლება და დეპუტატების ამორჩევის დამოუკიდებლობა. ამბობენ, გიორგის უნდა ძირითადი რეფორმები მოახდინოსო.

**სევასტოპოლი**, 7 ივლისი. ევპატორიის ახლო, აკმიჩეტთან, წყალმა ნაპირზე გამოაგდო ,,პოტემკინის'' უფროსის გოლიკოვის გვამი.

**ომსკი**, 6 ივლისი. ბირჟის გახსნა დანიშნულია 10 ივლისისათვის. გაიხსნა მოსკოვის სავაჭრო სახლის „სვეტნიკოვ და სტრუკოვ"-ის განყოფილება. ჰამბურგის ფირმის ,,ვოლფი''-ს და რიგის ,,პროვოდნიკ''-ის განყოფილებანი ტომსკიდან გადააქვთ. გაიხსნა ციმბირის ბანკის განყოფილება.

**ლონდონი**, 6 ივლისი. ზედა პალატაში ნიუტონმა აღძრა საკითხი მაკედონიის მდგომარეობის შესახებ. ნიუტონმა განაცხადა, მურცშტეგის გეგმამ ვერ გასჭრა და მოითხოვა, რომ რუსეთისა და ავსტრიის აგენტებს უფლებანი ჩამოერთვასო, დაინტერესებულმა სახელმწიფოებმა შეიმუშავეს მაკედონიის საფინანსო რეფორმების გეგმა. პორტამ ეს გეგმა უარჰყო, მაგრამ სახელმწიფოები თავს არ ანებებენ.

**პეტერბურგი**, 6 ივლისი. ფინლიანდიის ბეჭვდითი სიტყვის მთავარმა გამგეობამ ფინურ ენაზე გაზეთ „კარიალა"-ში დაბეჭდილი წერილი „სუომეტარ ტარიასა სუსომეტარ რაიუმ" განიხილა და მიიღო-რა მხედველობაში ნეიშლოტის ლიუტერანთა სასულიერო კონსისტორიის აზრი ამის შესახებ, „კარიალას" რედაქცია დატუქსვის ღირსად იცნო. ფინლიანდიის სენატის ბრალმდებლის თანამდებობის აღმასრულებელმა ეს წერილი ღვთის მგმობელად იცნო და ვიბორგის ქალაქის ფისკალს უბრძანა „კაიარალას" რედაქტორი ოსკარ ვურსინი სისხლის სამართალში მისცეს.

**პეტერბურგი**, 6 ივლისი. ოფიციალურად. 30 მარტის თარიღით გამოცემულ უმაღლესის ბრძანების სისრულეში მოსაყვანად, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის საგანგებო საბჭოს თავმჯდომარედ ნამყოფმა ვიტტემ, სასოფლო-სამეურნეო მრეწველობის გასაუმჯობესებელ პროექტების დავთრები და ქაღალდები ახლად შემდგარ კომისიის თავმჯდომარეს გორემიკინს გარდასცა, ადგილობრივ გზათა შესახებ კანონებისა და სოფლად გაჩენილ ცეცხლის წინააღმდეგ საბრძოლველი მოსაზრებანი და ქაღალდები—შინაგან საქმეთა მინისტრს, სწრაფი გადატან-გადმოტანის გაწესრიგება იმ სანოვაგისა, რომელიც მალე ფუჭდება, სამეურნეო მანქანათა დამზადების განვითარება, სასოფლო პურის მაღაზიებისა და სასოფლო-სამეურნეო სესხის მოსაწესრიგებელი პროექტები—ფინანსთა მინისტრს, პროექტები ადგილობრივ მდინარეთა კომიტეტების შესახებ—გზათა მინისტრს, მოსკოვის თავად-აზნაურობის მიერ აღძრული შუამდგომლობა მემკვიდრეობით გადმოცემულ ადგილ-მამულების მთლიანობის დაცვისა და მის შესახებ კანონებას ცვლილებაზე მასალები—იუსტიციის მინისტრს, უმაღლესის ბრძანებისამებრ კულომზინის თავმჯდომარეობით შემდგარ საგანგებო საბჭოში აღძრულ საკითხის მასალები, რომ პირველ-დაწყებითი სკოლა ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს,—განათლების მინისტრს, ჯგუფის სპეციალურად შესასწავლად სკოლების გამრავლების პროექტი და ყველა მასალები, რაც კი სასოფლო-მეურნეობის ტეხნიკურ საკითხებს ეხება, გარდაეცა მიწად-მფლობელობისა და მიწად-მოქმედების მთავარ-გამგეს. 1 აპრილსა და 24 მაისს გამოცემულ განმარტების თანახმად, გლეხთა გამგეობისა და სასამართლოების შესახებ პროექტების ჟურნალი დამთავრდა. დედანი იმ ჟურნალისა, რომელიც საგანგებო საბჭომ შეიმუშავა, მისი სტენოგრაფიული ოქმები და სხვა მასალები, რასაც რაიმე ისტორიული მნიშვნელობა ექმნება, ვიტტესა და სახელმწიფო მდივნის შეთანხმებით, სახელმწიფო არქივს გარდაეცემა შესანახავად.

ამის გამო ვიტტეს მიერ წარდგენილ მოხსენებაზე მისმა უდიდებულესობამ 3 ივლისს კეთილ ინება და საკუთარის ხელით წააწერა „მომწონს".

**პეტერბურგი**, 6 ივლისი. ყოვლად უსამღვდელოესი ალექსი, ქართლ-კახეთის ექსარხოსი და ტვერ-კაშინსკის არქიეპისკოპოსი ნიკოლოზი, ერთიმეორის ადგილას გადაიყვანეს.

ტფილისის სემინარიის რექტორად ნამყოფი ნიკანდრი, რომელიც გორის ეპისკოპოსად უნდა ეკურთხებინათ, სინოდმა კოსტრომის ეპარქიაში კინეშმის ვიკარად აკურთხა. ვარშავის საეპარქიოდან ლიუბლინის საეპისკოპოსო გამოაცალკევეს და ხოლმის საეპისკოპოსო უწოდეს. პირველ ეპისკოპოსად ევლოგი დაინიშნება.

**პეტერბურგი**, 6 ივლისი. ოფიციალურად. „მთავრობის მოამბეში", № 144, დაბეჭდილ ცნობის გამო, ვითომც ტფილისის რკინის გზის სახელოსნოებში 20 კაცი მოწამლულიყოს, 5 ივლისის თარიღით კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ, კავკასიის პოლიციის გამგემ გენერალ-მაიორმა შირინკინმა დეპეშით შემდეგი გვაცნობა: „სახელოსნოების საჩაიე ქვაბიდან 9 მუშამ წყალი ამოიღო. როცა ჩაი დალიეს, ცუდად გახდნენ და საავადმყოფოში იქმნენ გაგზავნილი. ამათგან იმავ დღეს საავადმყოფოდან ოთხი გამოვიდა. ორი მუშა ორს დღეს დარჩა საავადმყოფოში. სამიც ოთხ დღეს. არც ერთი არ გარდაცვლილა. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ქვაბის წყალი სუფთა იყო, ხოლო მუშების ჩაიდანში სულემას ნიშნები აღმოჩნდა. განზრახ მოწამვლის გამო მუშებს ეჭვი არავისზე მიუტანიათ. ამის შესახებ მოწვდილ ცნობის დამახინჯება დეპეშის უხეიროდ შედგენის ბრალი იყო; სხვათა შორის, იმ დეპეშაში შეცდომით იყო მოხსენებული ვითომც დარიშხანით 10 რუსი მუშა მოწამლულიყოს, ხუთი ძლიერ, ხუთი ცოტად".

**ელისავეტგრადი**, 6 ივლისი. გრაფი იგნატიევი და გუბერნატორი ანანიევისა და ტირასპოლის მაზრებში გაემგზავრნენ. ამითი დაასრულებენ გუბერნიის შემოვლას. გლეხებსა და მემამულეებს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება თითქმის მოისპო. ყანები გაიჭრა.

**კიევი**, 6 ივლისი. მუკდენთან ბრძოლის დროს დაჭრილი შტაბს-კაპიტანი კარპოვი, რომელიც შინ დაბრუნდა, ჭრილობისაგან დღეს განთიადისას გარდაიცვალა. ავადმყოფს ქმარს თავს დასტრიალებდა ოცის წლის მეუღლე. ქმრის გარდაცვალებამ ისე საშინლად იმოქმედა მასზე, რომ მეორე ოთახში რევოლვერით თავი მოიკლა. ტყვიამ გული გაუგმირა.

**ჰელსინგფორსი**, 6 ივლისი. ფინლიანდიის სენატის ბრალმდებლის იონსონის მკვლელს ჰოგენტალს სამუდამო კატორგა მიუსაჯეს.

**სტამბოლი**, 6 ივლისი. პატრიარქმა ოსმალეთის მთავრობას პროტესტი გამოუცხადა იმ უპირატესობათა გამო, რომელიც ოსმალეთმა მაკედონიაში კუცოვლახებს მიანიჭა. ოსმალეთის მთავრობამ ყურიც არ ათხოვა ამ პროტესტს.

იემენში ოსმალებმა მოტყუებით მეამბოხეთა მოთავე ორი ძმა იმამ მაჰმუდ-იახი შეიპყრეს. ოსმალეთი საბერძნეთის საზღვრებზე ჯარებს უმატებს.

**მოსკოვი**, 6 ივლისი. ზღვათა სააღებმიცემო მთავარმა გამგეობამ ბირჟის სოვდაგარ-მოვაჭრეებს აცნობა, რომ სამხრეთ სპარსეთში გასასტუმრებლად მეორე ექსპედიციას ვამზადებთო. რადგან მოსკოვში ქვანახშირის ნაკლებულობაა, ქალაქის თვითმართველობამ გზათა სამინისტროს სთხოვა, 250 ვაგონი დაგვითმეთ ქვანახშირის გადმოსაზიდათაო.

# რუსეთ-იაპონიის ომი

## დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

6 ივლისი

**პარიზი**, 6 ივლისი. როგორც ამბობენ, პრინცი არისუგავა ზავზე მოლაპარაკებამდე იაპონიის დელეგატებს ევროპაში თავისს მოგზაურობის ამბებს გაუზიარებს და მათთან ერთად ზავის პირობებს შეიმუშავებს.

**ტოკიო**, 6 ივლისი. ადმირალმა კამიმურამ კორეის ნაპირებთან, იუკივანის მახლობლად, რუსებს ზარბაზანი დაუშინა.

**პერიმი**, 6 ივლისი. „ვამპოას" მეზღვაურნი გემზე დაბრუნდნენ და დილით ზღვაში გავიდნენ.

**ტოკიო**, 5 ივლისი. გაზეთების სიტყვით, იაპონიის არმია ვლადივოსტოკის ჩრდილოეთით გადასულა. რუსები მდინარე ტუმენზე წინააღმდეგობის გაწევას აპირებდნენ, მაგრამ, როგორც ეტყობა, ამისათვის ძალა არ შესწევდათ.

**გოძიადინი**, 6 ივლისი. რკინის გზის დასავლეთით მტრის ცხენოსან ჯარის მოწინავე რაზმები ჩვენის სადარაჯო რაზმების გარღვევას ცდილობენ. როგორც ეტყობა, იაპონელებს ძალიან აინტერესებთ მდგომარეობა რუსის ჯარის იმ ნაწილისა, რომელიც რკინის გზიდან დასავლეთით გროვდება.

**ტოკიო**, 6 ივლისი. გაზეთები იტყობინებიან იაპონელები ვლადივოსტოკიდან ჩრდილოეთით გადავიდნენო, პორტ-არტურიდან დაბრუნებული მოხელე იტყობინება, რომ რუსის დალუპული გემები არც ისე გაფუჭებულია, როგორც გვეგონაო. ყველაზე ძალიან „ბაიანი" დაზიანებულა, ,,პერესვეტი'' უკვე შეკეთებულია. ,,პალლადა'' როგორც ფიქრობენ, ავგისტოსთვის მთლად შეკეთებული იქნება. ამაზე ადრე კი ,,რეტვიზანი'' და ,,პობედა'' შესწორდება.

**ტოკიო**, [illegible] ადმირალ კამიმურას მოხსენება: [illegible] იუკივანთან რუსის არტილერიამ ზარბაზანი დაუშინა, მაგრამ იაპონელებმა რუსები მალე ჩაჩუმეს და უკან დაახევინეს.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

# დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

**ქუთაისი**, 7 ივლისი. დღეს, საღამოს 8 საათზე, საღორიაში ხუთი შეიარაღებული კაცი [illegible] რამან დათეშიძის დილიჟანს თავს დაეცა და ბაღდადიდან წამოსული თორმეტი მგზავრი გაძარცვა. ავაზაკებმა ასი თუმანი წაიღეს და მიიმალნენ. პოლიციას, ჯერ-ჯერობით, მათი შეპყრობა ვერ მოუხერხებია.

### ჟურნალ-გაზეთებიდან

**ვლადივოსტოკის საქმე**. „ნ. ფ. პრესის" სამხედრო მიმომხილველი სწერს: ეჭვს გარეშეა, რომ ტოგო ვლადივოსტოკს ზარბაზანს დაუშენს და ამის შემდეგ პოსეტის ნავთ-საყუდელს დაეუფლება. მაგრამ, რადგანაც პოსეტის მიდამოებში ნაღმებია ჩაწყობილი, აქაც იმავე ხერხს იხმარს, როგორიც პორტ-არტურის აღების დროს გამოიყენა: ათიოდე ძველსა და უვარგის ტვირთ-მზიდ გემებს ჩასძირავს პოსეტის შესავალთან და გზას გაიკაფავსო. რუსეთს ხომ ფლოტი აღარა ჰყავს, რომ ხელი შეუშალოს, და ამ გეგმას ტოგო ადვილად მოიყვანს სისრულეშიაო. ამის შემდეგ პოსეტში იაპონია ჯარს გადასხავს, ტუმენში მყოფ რუსეთის რაზმებს უკანიდან მოექცევა და გზას მოუჭრისო. იაპონელები კაბაფუტოს (სახალინი) დაპყრობას არ დასჯერდებიან და კამჩატკასაც თავს დაუკრავენსო. რაც შეეხება კამჩატკის თავისუფალ მეომართა რაზმებს, ადვილად მოაძებნინებენ თავის სოროსაო.

„ლოკ. ანც". სიტყვით, იაპონიის კუნძულ კაბაფუტოზე 50 ათასი მეომარი გადაუსხავს.

**რა აზრისაა იაპონიის პრესსა რუსეთ-იაპონიის ომზე?** იაპონიის გაზეთები გულმოდგინედ არკვევენ იმ საკითხს, თუ რა შედეგი მოჰყვება დღევანდელს ომს და რა გავლენას იქონიებს იგი საერთაშორისო განწყობილებაზე. იაპონიურ გაზეთის „ნიჩინიჩი შიმბუნის" აზრი მიჰყავთ უცხოეთის გაზეთებს. გაზეთი საფრანგეთისა და გერმანიის დღევანდელ მდგომარეობას ეხება და ამბობს:

ეჭვს გარეშეა, რომ დღევანდელ ომის ზეგავლენამ ძირითადად შესცვალა ევროპის აზრი, ვითომც ევროპისა და მონღოლ-აღმოსავლეთის პოლიტიკა არსებითად განსხვავდებოდეს. დღეს ყველა დარწმუნდა, რომ აღმოსავლეთი და დასავლეთი მეტად მჭიდროდ ყოფილან გადაბმულნი. ომმა დიდი გავლენა იქონია განსაკუთრებით გერმანიისა და საფრანგეთის მდგომარეობაზე.

# ფელეტონი

## სომხური ბელეტრისტიკა.

სომხურის მოთხრობითი ლიტერატურის აღორძინება წარსულ საუკუნის ნახევრიდან იწყება, თუმცა წარმატებისათვის საკუთარი ნიადაგი არა ჰქონია. ეგრედ წოდებული, საგმირო მოთხრობები, რომელიც ასე ბევრი აქვს აღმოსავლეთის სხვა ხალხებს, სომხებს ნაკლებად მოეპოვებათ, ვინაიდან ლიტერატურა სასულიერო კაცთა ხელში იყო და ესენი კი საერო მოთხრობებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

სომხური მოთხრობითი ლიტერატურა წარმოიშვა საკუთარის სიტყვიერებიდან, და ის მწერლები, რომელთაც შეჰქმნეს იგი, სცდილობდნენ ცხოვრების სინამდვილის გამომხატველები ყოფილიყვნენ. თითოეული მათგანი სწერდა, ასურათხატებდა იმ მხარეს, იმ კუთხეს თავისს სამშობლოისას, რომელსაც იგი იცნობდა, აღწერდა ზნეს, ხასიათსა და ჩვეულებას სომხის ხალხისას და სცდილობდა შეეყვარებინა იგი თავისის მკითხველებისათვის, თუმცა სომხის ხალხის ცუდ მხარეებსაც არა მალავდა.

ყველა ეს აღწერილობანი, რომლებიც დასაბამად გაუხდა სომხურ მოთხრობითს ხელოვნებას, მხოლოდ სინამდვილის ზერელე აღწერა იყო. აღწერა იყო მარტოოდენ გარეგნობისა და ხალხის სულიერი მხარე კი არა ჩანდა. ეს ნაკლი შეავსეს შემდეგის თაობის იმ მწერლებმა, რომელთაც უმთავრესი ყურადღება მიაქციეს ხალხის ზნე-ჩვეულებას კი არა, არამედ მისს სულიერ მხარეს. დაიწყეს სომხის უფრო მაღალის საზოგადოების სულიერ თვისებათა აღწერა, სოციალურისა და ეკონომიურ კითხვების განმარტება, ქალის მდგომარეობის გარკვევა, ჩარჩ-კაპიტალისტების დასურათხატება, და ამგვარად შეჰქმნეს სხვადასხვა მიმართულებანი, თუმცა ყველა ეს მიმართულება ერთსა და იმავე აზრს—სომხის ხალხის შესწავლას, მის ცხოვრებისა, მისწრაფებათა და მოთხოვნილებათა გათვალისწინებას ემსახურებოდა. აქედან ნათლადა ჩანს, რომ სომხურ მოთხრობას მცირე სარბიელი აქვს, იგი თავის ხალხს ვერ გასცილებია.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ოსმალეთის სომხები თავის ლიტერატურით ბევრად განსხვავდებიან კავკასიელ სომხებისაგან. სტამბოლისა და სმირნის სომხეთა ბელეტრისტიკაში რეალიზმსს დღემდისაც ფეხი ვერ მოუმაგრებია, ხოლო ხალხის შესწავლას ხომ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ხალხის ცხოვრებისავე აღწერას გაურბიან დასავლეთ ევროპაში მცხოვრები სომხეთა მწერლები, რომელთა ნაციონალური მიდრეკილებანი ძალზე შეასუსტა საფრანგეთის ლიტერატურის ზეგავლენამ. სტამბოლსა და სმირნაში მყოფ სომხების საზოგადოებრივი ცხოვრება უფრო დიდრაჯულია და მათი ლიტერატურაც უფრო ნაყოფია ხელოვნებისა, ვიდრე თვით ცხოვრებისა. ორთავე ქალაქის მწერლები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ ქალაქებში მყოფ მუშებისა, მოსამსახურეებისა, სახლის პატრონებისა და წვრილმან მოვაჭრეთა ცხოვრებას, თითქო ესენი ლიტერატურისათვის არც კი არსებობენო. გულ-გრილათა და უყურადღებოდ ეკიდებიან აგრეთვე შორეულ სომხეთს, ვინაიდან მწერალთა უმრავლესობა ან სულ არ იცნობს მას, ან, თუ იცნობს—ძალიან ნაკლებად.

სულ სხვა არის კავკასიაში მცხოვრებ სომხეთა ლიტერატურა. იგი ცხოვრებასთან უფრო ახლო სდგას და სომხის ხალხის ინტერესებს ისეთისავე სიმტკიცით ემსახურება, როგორც ამ 50 წლის წინად, როდესაც პირველად გამოვიდა აბოვიანის რომანი „წყლულები სომხეთისა".

თუ გავითვალისწინებთ იმ დროსა და პირობებს, რა დროსა და პირობებშიაც დაიწერა ეს რომანი, უნდა ვაღიაროთ, რომ იგი თვალსაჩინო ნიმუშია ხალხისა და სამშობლოსადმი სიყვარულისა, იგი პოეტურის აღმაფრენით დაწერილი თხზულებაა. შესანიშნავი იყო მისი ავტორიც. სოფელ კანაკერში (ერევნის ახლოს) მცხოვრებ ღარიბის გლეხის შვილმა თავისის მეცადინეობით ჯერ ეჩმიაძინის სამრევლო სკოლას მიაღწია, აქედან ტფილისის სომხეთა სასულიერო სემინარიაში გადმოვიდა და მერე დორპატის უნივერსიტეტში მოექცა. რამდენი შრომა და ხასიათის სიტკიცე იყო საჭირო, რომ იმ დროს, მე-19 საუკუნის ნახევარში, ხელ-მოკლე ახალგაზდა უნივერსიტეტში შესულიყო.

მისმა ახალმა რომანმა („წყლულები სომხეთისა") მეორმოცდაათიან წლებში დიდი ყურადღება დაიმსახურა, მაგრამ, რადგანაც ცოტა სანტიმენტალურია და ბრტყელ-ბრტყელის სიტყვებით არის დაწერილი, მიმბაძავი არავინ გამოსჩენია.

სულ სხვა კილოზე სწერდა მისი მახლობელი მემკვიდრე რაფაელ პატკანიანი, რომელიც სომეხთა ახალ დროების მწერლობის პირველ წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. მისი პატარ-პატარა მოთხრობების შინაარსი განსაკუთრებით მის სამშობლო ქალაქის დონის-ნახიჩევანის ცხოვრებიდან არის აღებული. მის მოთხრობების თითოეულ გმირს განსაკუთრებული ბეჭედი აზის, და თუმცა მოთხრობებში თვით ავტორი არა სჩანს, მაგრამ მას ყველგან შეაქვს ხალხური ფილოსოფია და მკითხველი ნათლად ხედავს ამ გმირების სულიერსა და ხორციელ ცხოვრებას, ესმის მათი აზრი და მისწრაფება, მათი შეხედულება ქვეყნიერებასა და თანამემამულეებზე. ერთის შეხედვით პატკანიანის მოთხრობები ცხოვრების უბრალო სურათები გეგონებათ, მაგრამ ნამდვილად კი მათში აღწერილია მრავალი ნაკლი, უზნეობა და ბოროტ-მოქმედებანი.

სომხის ლიტერატურაში რეალიზმის დამყარებას პატკანიანმა მტკიცე ნიადაგი მოუმზადა. მან პირველმა შეჰქმნა სომხური მოთხრობა; პატკანიანის თანამედროვე მწერლებმა მისგან ნაჩვენებ გზაზე გაიარეს, მაგრამ ხელოვნებით მას ერთიც ვერ შეედრება. ხალხის აღწერილობაში მისი მიმბაძველნი და სხვათა მწერალთა შორის უფრო სახელოვანნი რაფფი და პროშიანცი მასზე ნაკლები მხატვრები არიან.

პერჩ პროშიანცი (ივანე ტერ-არაქელიანი) სამწერლო ასპარეზზე 1860 წელს გამოვიდა. როგორც კარგი მცოდნე თავის ერისა—იგი შეუდგა სომეხთა ზნე-ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების აღწერას. მისი მოთხრობები „ვოსი და ვარტიტერი" და „ლუკმა პურისთვის" ჩინებული ილლუსტრაციაა სომეხთა ცხოვრებისა.

პატკანიანისა და პროშიანცის გვერდით სდგას აკოფ მელიქ-აკოფიანი—რაფფი. როგორც ზემოდ დასახელებული მწერლები, ისე რაფფიც შეუდგა თავის ხალხის ყოფა-ცხოვრების აღწერას, რომ „მისნი ძალნი გაეღვიძებინა", როგორც თითონვე ამბობს „ჯალალ-ედინში".

რაფფი დაიბადა 1855 წ. სოფელ პაპაჯუკში, სპარსეთში. მამა მისი ვაჭარი იყო და სავაჭრო საქმეთა გამო ხშირად მოგზაურობდა ხოლმე სპარსეთსა, ოსმალეთსა და კავკასიაში. როდესაც რაფფი 12 წლისა შეიქმნა, მამამ იგი ტფილისში მოიყვანა და გიმნაზიაში მიაბარა. რაფფის სწავლა არ დაუმთავრებია, მეოთხე კლასიდან გამოვიდა და სამშობლოში დაბრუნდა, რომ მამას მიშველებოდა. სავაჭრო საქმეებისა გამო ამასაც ხშირად უხდებოდა მოგზაურობა და ზედმიწევნით შეისწავლა სომეხთა ჭირ-ვარამი, მათი ავი და კარგი. რაფფის მალე მოჰბეზრდა ვაჭრობა, სიცოცხლით სავსე ჭაბუკს იგი ვერ აკმაყოფილებდა, მიატოვა ვაჭრობა და სამოციან წლებში ტფილისში გადმოსახლდა. აქ იგი პირველ ხანად ნოქრობითა და კერძო მასწავლებლობით ირჩენდა თავს.

თავისი პირველი შრომა—,,წერილები სპარსეთიდან'' რაფფიმ დაბეჭდა გაზეთ ,,მშაკში'' 1872 წელს. ამას მოჰყვა მოთხრობები სპარსეთის ცხოვრებიდან: ,,ჰარამხანაში'', „ხასპუში და ბიბი-შარაბანი''. ეს მოთხრობები შინაარსით მდიდარია და ადგილ-ადგილ ხელოვნურადაც არის დაწერილი. ამ პატარა მოთხრობების შემდეგ, რაფფი თავისს მოთხრობებში დაადგა ნაციონალურ მიმართულებას. იმას აზრადა ჰქონდა ,,კავკასიაში მცხოვრებ სომხებისათვის ეგრძნობინებინა სპარსეთში მცხოვრებ სომეხთა გაჭირვება და ამასთანავე მათ გულში შთაენერგა ერთმანეთისადმი სიყვარული და ის შემეცნება, რომ სხვადასხვა ადგილს გაფანტული სომხები ერთ ხალხს, ერთ ერს ეკუთვნიან". ამ მიზნით მან დასწერა ,,ხენთი'' და ნაპერწკლები''. ,,ხენთის'' შინაარსი აღებულია რუსეთ-ოსმალეთის დროიდან. ადგილ-ადგილ ლამაზად და მგრძნობიარედ არის დაწერილი, მაგრამ ძლიერ გაჭიანურებულია. რაფფის რიხიანი ლაპარაკი საანბანო ჭეშმარიტებათა შესახებ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველებზე და აფერმკრთალებს დიდის გულმოდგინებითა და გრძნობით დაწერილ მოთხრობას. ასეთივეა ,,ნაპერწკლებიც'', რომელიც თითქმის ,,ხენთის'' გაგრძელებაა. ამ მოთხრობის მოქმედება სწარმოებს ქალაქ ვანში, ოსმალეთის სომხეთში, სადაც ახალგაზდათა ერთი ჯგუფი ხალხს ასაჯანყებლად იწვევს და იარაღს ურიგებს.

თავის ხალხის მტრებს რაფფი მარტო ქურთებსა და ოსმალებში არა ჰხედავს; იგი ჰპოვებს მას სომხებშიაც—ვაჭრებსა და ჩარჩებში, რომელთა ანგარება და უსვინიდისობაც ასე მშვენივრად გამოხატა ,,ცეცხლ წაკიდებულ ქარხანასა'' და ,,ოქროს მამალში''. ამათ გარდა რაფფიმ დასწერა კიდევ ორი ისტორიული რომანი. მისი საზოგადო მიმართულება წმინდა ეროვნულია.

რაფფით თავდება იმ მწერლების წრე, რომელმაც სომხურ მოთხრობითს ლიტერატურაში შეიტანა ხალხისა და სამშობლოს აღწერა და რომელთა გავლენაც ძლიერ დიდია. მათთან ერთად და შემდეგაც გაჩნდნენ ახალი მწერლები, რომლებიც იმავე გზას დაადგნენ, მაგრამ უფრო ვიწრო ფარგალში. პირველი მათგანი ლაზარე აღაიანცია. ამან დასწერა ორი მოთხრობა სოფლის ცხოვრებიდან „არუთინა და მანუკლა", და ,,ორი და''. ეს მოთხრობები ხელოვნურად და მშვენიერის ენით არის დაწერილი. ჩუღურიანმაც დასწერა პატარ-პატარა მოთხრობები, რომელიც ცალკე წიგნად გამოიცა ,,დავიწყებულის ქვეყნის" სათაურით.

რაფფის ყველაზე უფრო უახლოვდება აჰარონიანი, მაშინ როდესაც ადელიანი სწერს სოფლის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ. პატარ-პატარა პოეტურ მოთხრობების წერაში განთქმულია ფაყაზიანი.

როგორც დავინახეთ, ის უმთავრესი საფუძველი, რომელზედაც აღორძინდა სომხური მოთხრობითი ლიტერატურა—ხალხია, ხალხი თავის ჭირ-ვარამით, თავისის ავ-კარგით. ყველა ეს ასწერეს და აღნიშნეს სომხის მწერლებმა თავისს თხზულებებში და ყველა სომეხს შეუძლიან ნათლად წარმოიდგინოს, რა ყოფილა მისი ერი და როგორ უნდა ეშველოს მის კულტურულ განვითარებას.

ახალის ხანის ლიტერატურას ერთი დიდი ღვაწლიც მიუძღვის სომხებისადმი. იმან მარტო არ გააცნო ქვეყანას თავისი ხალხი, არამედ ცდილობს თვით ხალხი გაათვითცნობიეროს, აღზარდოს.

აღმზრდელობითს მიმართულებას სომხური ლიტერატურა ამ ოცის წლის წინად დაადგა და, თუმცა ჯერ წელში ვერ გამართულა, მაგრამ მაინც დიდი ნაბიჯი გადადგა წინ და თამამად აღიარებს მწარე სიმართლეს. იგი არა ჰფარავს ხალხის ცუდ მხარეებს, იგი პირდაპირ უჩვენებს მისს ნაკლს და სცდილობს ერის გაკეთილშობილებას.

ამ მიმართულების მწერალთა შორის ყველაზე თვალსაჩინოა შირვანზადე (მოვსესიანი). თავის მოთხრობებში შირვანზადე წინააღმდეგია ფულისმოყვარეობისა, ვაჭრულ ეგოიზმისა, რომელიც აწვრილმანებს, ათახსირებს სომხის ხალხს და ღირსეულადაც ჰკიცხავს ამ სენს სიმპატიური მწერალი. შირვანზადეს უმთავრესი მოთხრობებია „ნამუსი", „არსენ დიმაქსი" „ხაოსი"; პირველში აღწერს პატარა პროვინციალურ ქალაქის დახავსებულ ცხოვრებას, მეორეში—ტფილისის ინტელიგენციას და მესამეში—ბაქოს ნავთის მწარმოებელთა ცხოვრებას. საყურადღებოა აგრეთვე მისი ფსიხოლოგიური მოთხრობები „ლიზა" და „მწუხარე". შირვანზადეს შემდეგ, ახალ მიმართულების ყველაზე კარგი გამომხატველი ლეონ სევბოსიანია. იგი მოთხრობებს ინტელიგენტთა ცხოვრებიდანა სწერს. პეიზაჟს ყურადღებას არ აქცევს, რეალისტია.

საზოგადოებრივ ცხოვრებიდან სწერენ აგრეთვე მურატიანი, ნარ-დოსი და ქ-ნი ხატისიანი. ეს უკანასკნელი ერთად-ერთი მწერალი ქალია კავკასიელ სომხეთა შორის.

მართალია, სომხურ ლიტერატურას არ შეუქმნია პოეტური იდეალები, მაგრამ მან გასწმინდა ცხოვრება და ძველ დახავსებულ შეხედულებას ძირი გამოუთხარა. ამას დიდი შრომა სჭიროდა და ეს შრომა შეასრულეს სომხის მწერლებმა.

ოსმალეთის სომეხ მწერალთა შორის გამოჩენილნი არიან პარონიანი და ძერენცი. პატკანიანის შემდეგ, პარონიანი პირველი იუმორისტია, რომელიც თავისს მოთხრობებში სასტიკად ჰკიცხავს, ეგრედ-წოდებულ საზოგადო მოღვაწეთა ნაკლს და თავის გაბედულის კალმით ყველანი გადაიმტერა და სიღარიბეში დალია სული. პარონიანის სიკვდილის შემდეგ მისმა მტრებმაც კი დააფასეს მისი კალამი და დიდებულად დაასაფლავეს სტამბოლში 1891 წელს.

ძერენცი (დაიბადა სტამბოლში 1822 წ. და გარდაიცვალა ტფილისში 1888 წ.); დასწერა სამი ისტორიული რომანი არაბების სომხებზე ბატონობისა და კილიკიაში რუბენიდების მეფობის დროიდან

პარონიანისა და ძერენცის შემდეგ, სტამბოლში სხვა მწერლებიც გამოჩნდნენ, მაგრამ თვალსაჩინო არა დაუწერიათ-რა.

ოთხმოციან წლებში [illegible] ქ-6 დიუ-სანის რომანებს, რომელიც სწერდა

ომის დაწყებამდე, ორ მოსისხლე სახელმწიფოს შუა მომწყვდეული, გერმანია შიშით ილეოდა. ის ყოველთვის ფხიზლად უნდა ყოფილიყო, რომ ან რუსეთს ან საფრანგეთს ხრიკი არ ეგდოთ. ამისთვის ხელ-ფეხი შეკრული ჰქონდა და ახალ ქვეყნების დასაპყრობად ფეხსაც ვერა სდგამდა.

მაგრამ დაამარცხა თუ არა იაპონიამ რუსეთი, გერმანიამ თავისუფლად ამოისუნთქა, მის აღმოსავლეთის მიჯნებს საშიშრობა მოესპო. სწორედ ამითი აიხსნება, რომ ბერლინის სახელმწიფო მოღვაწენი თამამად შეუდგნენ ახალ სამფლობელოთა შეძენას და გერმანიის იმპერატორმა მაროკოსკენ შესამჩნევი ნაბიჯიც გადადგა. გერმანიამ ევროპის თვალში ახლა თვალსაჩინო ადგილი და მდგომარეობა დაიჭირა. ბალკანეთის ნახევარ კუნძულის ბედ-იღბლის გადამწყვეტად ის დარჩა და მცირე აზიის პოლიტიკაშიაც, ევროპის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით, დიდი გავლენა მოიპოვა. თქმა არ უნდა, რომ გერმანია შორეულ აღმოსავლეთშიაც განაახლებს თავის აქტიურს პოლიტიკას. თუმცა რუსეთიდან დაწყებილი ყველა სახელმწიფონი ხელს უშლიან და ეცდებიან მის გაძლიერებასა და თავგასულობის ალაგმვას, მაგრამ გერმანია თავისას გაიტანს. რუსეთის დასუსტებამ ბევრი რამ დააკარგვინა საფრანგეთს. და მეტსაც დაჰკარგავდა საფრანგეთი, თუ ინგლისს არ გაეწოდებინა მისთვის ხელი. საფრანგეთი ახლა რუსეთის კავშირიდან არაფერს არ უნდა გამოელოდეს. სამაგიეროდ, მისი მომავლის თავდებია, ინგლისისა, იაპონიისა და იტალიის მეგობრული განწყობილება და კავშირი.

ცხადზე უცხადესია, რომ რასაც კი შორეულ აღმოსავლეთზე ჰქონდა გავლენა, ახლა მთელს ევროპაზე მოიპოვა მან საპატიო ადგილი და ამიერიდან შორეულ აღმოსავლეთში, იაპონიის დაუკითხავად, არც ერთი საკითხი არ გარდასწყდება...

**„ნოვოე ვრემიას“ სიხარული.** რაკი მურავიოვის მაგიერ მთავარ-რწმუნებულად ვიტტე დანიშნეს, „ნოვოე ვრემია“ სიხარულით ცას ეწევა და ამბობს: ვიტტე ომის გაგრძელების წინააღმდეგი არ არის და დღემდე ღრმადა სწამს, რომ ცუსიმის კუნძულთან ჩვენის ფლოტის დამარცხების შემდეგ, რუსეთი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და უკანასკნელ გროშამდე იბრძოლებსო.

**მიკადოს წერილი ინგლისის მეფესთან.** 27 ივნისს მიკადომ მეტად გულითადი წერილი გაუგზავნა მეფე ედუარდს. იგი მადლობას უძღვნის იმ სტუმართმოყვარეობისათვის, რომელიც პრინც არისუგავას ინგლისში ყოფნის დროს მეფემ გამოიჩინა. მეორე დღესვე საპასუხო წერილი მიიღო.

პეკინის კორესპონდენტი იუწყება, **კაპიტანი კაზაკოვი რუსეთის ჯარით ლოხასზე აპირობს გალაშქრებასაო.**

**იაპონიის მატარებლები ახლა ჩანტოფუმდე** დადიან. თუმცა პოლკოვნიკ კოლომბოვის რაზმა ჩანტოფუს სამხრეთით ხიდი ააფეთქა, მაგრამ იაპონელებმა სწრაფად გააკეთეს ხიდი და მატარებლები თავისუფლად მოძრაობენ.

**იაპონიისა და ჩინეთის ცილაობა.** ჩინეთმა, იაპონიის პროტესტის მიუხედავად, მაინც დანიშნა მუკდენის ძიან-ძუანი, რომელიც ამ დღეებში გაემგზავრება დანიშნულს ალაგას. იაპონელებმა ამის პასუხად თვითონაც დანიშნეს მუკდენში ხაოეხსუნი პოლიცმეისტრად.

**მიზეზები რუსეთის დამარცხებისა.** „რუსკი ინვალიდის“ № 139-ში დაბეჭდილია წერილი, სადაც, სხვათა შორის, რუსეთის დამარცხების შემდეგი მიზეზებია აღნიშნული:

1) აღლუმობის დროს თანამედროვე სამხედრო ტეხნიკის შეუფერებელი იერიშები და რაზმთა წყობის უვარგისობა.

2) ჯარის უფროსთა წინ წაძღოლა მთელის ამალით და სამხედრო ნიშნებით.

3) ომის დროს ჯარის სხვადასხვა ნაწილებთა შორის კავშირის გაწყვეტა, როდესაც წინასა, გვერდისას და საფარ ჯარებს ცნობების გადასაცემად სახსარი ესპობათ.

4) უნტერ-აფიცერთა პირად ინიციატივის სრული უქონლობა, და მუდამ ლოდინი იმისი, თუ რას გვიბრძანებენო.

5) თხრილების საქმეში დაუდევრობა

6) დასვენებისა, ლაშქრობისა თუ ბრძოლის დროს თავის დაცვისა და დაფარვის უნარის უქონლობა და სხ.

**მანჯურიაში მიმოსვლის შეწყვეტა.** შანჰაიდან იუწყებიან, რომ მანჯურიაში, მუკდენ-ხარბინის რკინის გზის მახლობლად მდებარე ქალაქებსა და ნიუ-ჯუანის შორის **ყოველივე მიმოსვლა შესწყდაო.**

**ჩინეთის ხერხი.** გაზეთი „კურიერ“ გადმოგვცემს, რომ ჩინეთი **გაიჯოუს ნავთსადგურს, სავაჭრო პორტად გამოაცხადებს,** რომ გერმანიის გაბატონებასა და ამ პორტის დაჭერას ხელი შეუშალოსო.

# ახალი ამბავი

**ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილემ თავ. ა ი. ჯამბაკურ-ორბელიანმა აღძრა შუამდგომლობა** კავკასიის ნამესტნიკის წინაშე, რომ ის 20,000 მანათი, რომელიც უმაღლესის ბრძანებით ტფილისის თავად-აზნაურობას სწავლა-განათლების საქმისთვის ებოძა, მოხმარდეს რუსეთის უმაღლესს სასწავლებლებში ქართველ სტიპენდიანტების აღზრდას.

✦ თავად-აზნაურთა სტიპენდიების განაწილებისთვის შემდგარმა კომისიამ **დაადგინა, მისცეს სტიპენდიები მხოლოდ ივნისის თვისა,** ივლისისა და მარიამობისთვისას კი მისცემენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უნივერსიტეტებში სწავლა დაიწყება, და მარტო იმ სტუდენტებს, რომელნიც ლექციების მოსმენის სურვილს განაცხადებენ.

✦ გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ბაგრატიონ-დავითიშვილი მაზრის თავად-აზნაურთ იწვევს **საგანგებო კრებაზე,** რომელიც დანიშნულია ქ. გორში, 10 ივლისს, დილის 11 საათზე. ამ კრებამ უნდა გაანაწილოს გუბერნიის თავად-აზნაურთა უკანასკნელ კრებაზე გორის მაზრისთვის გადადებული ფული.

✦ სოფ. ახალქალაქიდან გვატყობინებენ, რომ იქ უკვე მისულა **გენერალი ამილახვარი** და საგანგებო საქმეთა მოხელე **გენერალი ჟუკოვსკი,** რომერთაც ყრილობა გაუმართავთ დიდძალი გლეხობისა.

✦ დღეს, 8 ივლისს, ტფილისის მაზრის ახლომახლო სოფლებში **თ-დი ივ. ს. ჭავჭავაძის მეთაურობით** მიემგზავრება განსაკუთრებული კომისია **გლეხთა მოძრაობის დასამშვიდებლად.** კომისიაში ირიცხებიან მაზრის უფროსი თ-დი ჯანდიერი, მაზრის მარშალი ა. ი. ჯამბაკურ-ორბელიანი, მომრიგებელი შუამავალი ჩოლაყაშვილი და სხვანი.

✦ მიხეილის საავადმყოფოში უკვე **გარდაიცვალა** მეშვიდე საპოლიციო **უბნის ზედამხედველი ილინი,** რომელიც ამ დღეებში დასჭრეს.

✦ სოფ. ბაშირში, ნახიჩევნის ახლო, 1 ივლისს, ღამე, **კაზაკებს დასცემია თავზე 30 შეიარაღებული თათარი** და თოფების წართმევა მოუწადინებიათ.

✦ 29 ივნისს, ღამის 11 საათზე, ერევანში, ერთ მიყრუებულ ქუჩაში, უცნობებს **მოუკლავთ გიმნაზიის სეკრეტარი ე. გილმანი.**

✦ როგორც გვატყობინებენ, **ალავერდის ქარხანაში** (ბორჩალოს მაზრა) **გაფიცულან მუშა-ოსები** და პატრონებისთვის თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ.

✦ უსახელო საზოგადოების გამგეობამ **დააკმაყოფილა მოსამსახურეთა მოთხოვნილება** და საერთო გაფიცვის დღეებში **ჯამაგირი** დაურიგა.

✦ ამ წლის პირველ აგვისტოს პეტერბურგში დანიშნულია **კრება სახელმწიფო და კერძო რკინის გზებზე** მოსამსახურეთა და შემნახველ-დამხმარებელ კასსის აწ არსებულ წესდებულების გადასათვალიერებლად. ამის გამო ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა შემდეგი განკარგულება მოახდინა: არჩევნები ამ კრების წარმომადგენელთა მოხდეს ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობის ყველა ნაწილში, იმ წესზე, როგორც უფროსები დაინახავენ საჭიროდ. ეს არჩევნები ივლისის 10-მდე უნდა დასრულდეს. სამმართველომ უნდა აარჩიოს 15 კაცი, ლიანდაგმა კი 115; არჩევნების დღე დეპეშით ეცნობებათ ლიანდაგზე მოსამსახურეთ.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს ინჟ. ი. კ. ივანოვსკის კავკასიის ნამესტნიკმა 28 დღით ქალაქ გარედ წასვლის ნება მისცა. უფროსის **თანამდებობის ასრულება ჩაჰბარდა ინჟ. ნ. ა. რახმანინს.**

✦ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის **ვიცე-გუბერნატორი ა. ა. კალაჩოვი.**

✦ გუშინ, 8 ივლისს, **ტფილისის ვიცე-გუბერნატორი** ტფილისიდან ისევ გაემგზავრა გორის მაზრაში.

✦ როგორც „ჩერნ. ვ.“ გადმოგვცემს, **ქუთაისის გუბერნატორად ინიშნება** საქარის ამერიკულ ვაზის სანერგეს გამგე **აგრონომი ვ. ა. სტაროსელსკი.**

✦ **ტფილისის გუბერნატორს** ბარონ-რაუშ-ფონ ტრაუნბერგს ტფილისში ამ თვის 28-ს მოელიან.

✦ როგორც ბათუმის გაზეთი გვატყობინებს **სოხუმის ოლქის უფროსი პროგულბიცკი სხვაგან გადაჰყავთ** და მის ალაგზე **პოლკ. ვახვახიშვილს ნიშნავენ.**

✦ 5 ივლისს ყარაბაღის ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსი აშოტ შახიანი, სომხეთა კათოლიკოსის განკარგულებით, წარსდგა კავკასიის ნამესტნიკის წინაშე და სთხოვა, იშუამდგომლოს ხელმწიფესთან, რომ ქ. შუშაში არსებული და ამ ორის წლის წინად მთავრობის განკარგულებით დაკეტილი ეპარქიალური სკოლა ისევ ნება-დართულ იქმნეს.

ნამესტნიკი შუამდგომლობას დაჰპირდა. იმავე დღეს ეპისკოპოსი მივიდა სულთან-კრიმ-გირეითან და იგივე სთხოვა.

✦ არქიმანდრიტ მესროპს ატყობინებენ ქ. ერევნიდან, რომ იქ მოგროვებულა ნახიჩევანში **დაზარალებულთა სასარგებლოდ 5 ვაგონი სახლის ავეჯეულობა,** მაგრამ რკინის გზა უფასოდ გადატანაზე უარს ამბობს.

✦ ერთ სომხურ გაზეთს, რომელიც საზღვარგარედ იბეჭდება, ატყობინებენ, რომ შუშის და ერევნის მაზრაში **სომხები სიმშილით იხოცებიან.** ამ გაზეთის რედაქციას თავის კორესპონდენტისაგან მიუღია პურის ნაჭერი, რომელშიაც ფქვილის გარდა სხვა ყველაფერია. ზოგიერთ გლეხებს ამნაირი პურიც კი ენატრებათ და ამავე დროს ოსმალეთის მდიდარი სომხები ეკლესიებისა და აკლდამების აშენებაზე ათასობით ხარჯავენო.

✦ თანახმად კათოლიკოსის შუამდგომლობისა, **ერევნის გუბერნიაში იგზავნება აგრონომი საკოვი,** რომელმაც იქაურ მცხოვრებთ აგრონომიული დახმარება უნდა გაუწიოს.

✦ მკითხველები უკვე იცნობენ ცაპინს, რომელიც ტფილისში ჭარა-ჭარად სახლებს აშენებს, ბანკში კარგ ფასად აგირავებს და შემდეგ ბანკსავე უტოვებს. ამ განთქმულ ცაპინის ნაქირავის სახლის წინ აივანზე, არსენალის ქუჩაზე, 4 ივლისს ყოფილა მდგმური ეკატერინე ჩიდიკოვისა თავის 3 წლის ქალით. უცრად აივანი ჩანგრეულა და მესამე სართულიდან დედამშვილი ჩავარდნილა. რადგან სასწაულით ქალი სიკვდილს გადარჩენილა, ხოლო ბავშვი მძიმედ დაშავებულა („ცნ. ფ.“).

✦ **რედაქციამ მიიღო** საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალის **ჯეჯილის მე-VI ნომერი.** შინაარსი: 1) საჩუქარი, ლექსი — მით. მღვიმელისა, 2) შოშია — ამბავი რუსულიდან — ს. დ—ისა. 3) ირმების ბედადი — თარგმანი — ტასოსი. 4) ოჯახის დარაჯნი — სონა ციციშვილისა, 5) ორი ბაჟაჟი (ინგლისურიდან) — ან. დ-მესი; 6) ლატაკი მდიდარი (ზღაპარი) — ალ. ბარნოვისა; 7) დედობილი (რუსულიდან) ალ. ბარნოვისა. 8) წვრილმანი: უცნაური შვილიანი, ანდაზა, აკროსტიხი და შარადა. 9) სოფ. [illegible] — ეკ. გაბაშვილისა. 10) მეფის რაში (ზღაპარი) — ალ. ყაზბეგის ხელნაწერიდან (დასასრული), 11) რუსის დესპანობა მე-XVII საუკუნეში — ალ. სარაჯიშვილისა. 12) ხელმწიფე და პატარა მზარეული (ჩინური ზღაპარი) — ან. წერეთლისა. 13) ფიზიკური გეოგრაფია პროფესორის გეიკისა — სან-ინისა და 14) ახსნა.

✦ როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, 6 ივლისს, შუაღამის 1 საათზე, აჯამეთის სადგურზე შეიარაღებული კაცები თავს დასხმიან ყაზარმის შენობას და დაუწყიათ მისი ნგრევა, მაგრამ ამ დროს სახალხო მატარებელი № 2 მისულა და უცნობნი გაფანტულან.

✦ ყაზბეგის ქუჩაზე გიორგი არუბათოვის სადგომიდან ვიღასაც მოუპარავს 200 მანათი.

## „მოსკოვსკია ვედომოსტის“ აზრი რუსეთის ახლანდელ მდგომარეობის შესახებ

საშინელი ღრუბლები დააწვა რუსეთს. აქა-იქ მიმალული საზოგადო ძალები, რომელიც დღემდის თავს არ იჩენდა, დღეს გარედ გამოვიდა, განთავისუფლდა. ამ ძალებმა ხელში ჩაიგდეს უფლება და ტერორის საშუალებით აიძულეს მთავრობა მათთვის ზოგიერთ საქმეში დაეთმო კიდეც.

საზოგადოება სარევოლუციო მოძრაობას მიემხრო და, რაკი მას და სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთ მთელი ჟურნალ-გაზეთებიც ხელში ჩაგდებული აქვთ, ამიტომ პრესსაც ყოველგვარ საშუალებით ხელს უწყობს რევოლუციას და ხალხსაც აქეზებს.

მთავრობის სისუსტემ გაამხნევა რევოლუციის მომხრეები, — მიხვდნენ, რომ მათ შერჩათ ბურთი და მოედანი რუსეთში. რუსეთის ყველა კუთხეში ასი ათასობით ჰზავნიან პროკლამაციებს, ამ პროკლამაციებს ხშირად სახელმწიფო ბეჭედსაც აკრავენ, როგორც მოიქცა, მაგ., მოსკოვის სამკურნალო საზოგადოება, — რუსეთის გაზეთებში აშკარად ჰქადაგობენ ძველ წეს-წყობილების დარღვევას...

ყოველ-დღე იმავე აზრების განმეორება, გაფიცვის ქება, საპოლიტიკო მკვლელობის ამაღლება, — საზოგადოებას იმონავებს და ამიტომაც საზოგადოება ხშირად გულგრილად უყურებს, როდესაც საპოლიტიკო მიზნით იკვლება ვინმე. ეს გულგრილობა სარევოლუციო მოძრაობის გაძლიერებას ხელს უწყობს და ამიტომ ქუჩებში ყუმბარების მსროლელნი, რევოლვერებით სხვადასხვა მოხელეთა მკვლელები ადვილად იმალებიან ყოველთვის.

ვნებათა-ღელვა მატულობს, მკვლელობა ხშირდება, ყუმბარებისგან იღუპებიან უფროსთა ბრძანების აღმასრულებელნი, პოლიციელები, ჯარის კაცები, — მსხვერპლი მსხვერპლს მისდევს...

ერთი უძლიერესი ძალა ამ მოძრაობაში პრესსაა. ოდესსაში, მაგ., გაზეთები სისტემატიურად ამზადებდნენ იმ ამბებს, რომელიც იქ და მის გარშემო მოხდა... პრესსა განსაკუთრებულის გაბედულობით მეთაურებსა, ფელეტონებსა და

---

ლის საზოგადოების ცხოვრებიდან. ეს დიდად განათლებული ქალი განხორციელებული რომანტიზმი იყო.

ამ ბოლო დროს ოსმალეთის სომეხ-მწერლები რეალურ გზას დაადგნენ და, რადგანაც ისინი უფრო მომზადებულნი და ევროპასთან ახლო არიან, იმედია, კავკასიელებს გადააჭარბებენ და ისეთ ნაწარმოებს შექმნიან, რომელნიც საყოველთაო ლიტერატურისათვის უმნიშვნელონი არ იქმნებიან.

**არტურ ლეისტი.**

---

## ჰენრიკ იბსენის უკიდურეს ინდივიდუალიზმის განვითარება

### ბრძოლის გამომხატველი დრამები.

ჰენრიკ იბსენის პირველ თხზულებიდანვე სჩანს, რომ მისი იდეალი არის ძლიერი პიროვნება, რომელიც თამამად ებრძვის საზოგადოების უკან ჩამორჩენილ აზრებს, სურს განაახლოს მისი ცხოვრება, მოსპოს ის სიცრუე, რომელზედაც ხშირად აგებულია ხოლმე საზოგადოების ცხოვრება და მის წევრების ურთიერთობა, და მოახდინოს საზოგადოებრივი ცვლილებანი და რეფორმები.

მაგრამ საზოგადოების ინტერესებს იბსენი ყოველთვის უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე პიროვნების ინტერესებს. მისი გმირები საზოგადოებრივი მოღვაწენი არიან. მაგალითად, კატილინას სურს აღორძინდეს ძველი რომი; ბრანდი მარხავს ძველ ღმერთს და უქადაგებს ხალხს ახალს, ესე იგი სარწმუნოებას ანახლებს. შტოკმანი ცდილობს დაანგრიოს თავის თანამოქალაქეების კეთილდღეობა, რომელიც არის დაფუძნებული სიცრუესა და სხვის მოტყუილებაზე.

1884 წლიდან კი ნორვეგიელ დრამატურგის მიმართულება სრულიად იცვლება. ღრმა პესსიმიზმით არის გამსჭვალული იბსენის ამ პერიოდის თხზულებანი. ის იბსენი, რომელიც შეუბრალებლად ებრძოდა და სპობდა სიცრუესა და სიყალბეს, ახლა დაღონებით გვეუბნება: შემცდარი ვიყავი, სიცრუე აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ცხოვრებისათვის, რადგან ადამიანები სულ ავადმყოფები არიან და ერთად-ერთი წამალი მათთვის თავის მოტყუილება არისო. ღირს განა მწერალმა იმუშაოს ხალხისათვის, ეცადოს დაანგრიოს ის სიცრუე ცხოვრებისა, რომელიც ასაზრდოებს მათ? ამ კითხვებზე იბსენი, თავის ლიტერატურულ მოღვაწეობის პესსიმისტურ პერიოდში, გვიპასუხებს, რომ არა, — არა ღირსო.

ამ შავ აზრების შედეგი, რასაკვირველია, ის იყო, რომ იბსენის თხზულებებმა სულ სხვა ხასიათი და მიმართულება მიიღო. ამიტომ, სანამ ამ ახალ მიმართულებაზე ვილაპარაკებდეთ, საჭიროა ავხსნათ, რაში მდგომარეობს იბსენის პესსიმიზმი, როგორ წარმოიშვა იგი და რა გავლენა იქონია პოეტის თვითშემოქმედებაზე.

1861 წელს იბსენმა გამოსცა თავისი ახალი დრამა, სახელად „ნორა“. დრამის გარჩევას აქ არ შევუდგები, რადგანაც ეს ჩემს თემას არ ეკუთვნის, მაგრამ საჭიროა ვთქვა, როგორ მიიღო საზოგადოებამ ეს დრამა. მკითხველთა უმრავლესობამ ნორას საქციელი სცნო ზნეობის დამამცირებლად. თუმცა ყველა ადამიანს აქვს მოვალეობა თვის საკუთარ პიროვნების წინაშე, მაგრამ მოვალეობა ბავშვებისადმი უნდა მაღლა იყოს დაყენებული. ნორას რომ მარტო ქმრისათვის დაენებებინა თავი, ამას კიდევ არა უშავდა-რა, მაგრამ ბავშვებს რა მოუვათ, როდესაც დედა ახლო არ ეყოლებათ? ასე ჰფიქრობდნენ მკითხველები, მაგრამ თვითონ იბსენი სულ სხვა აზრისა იყო. განა უფრო კარგი იქნებოდა ბავშვებისთვის, რომ ასეთ გარემოებაში მათი დედა ოჯახში დარჩენილიყო და ქმარი არ მიეტოვებინა?

ამ კითხვაზე იბსენი პასუხს იძლევა ახალ დრამაში — „მოჩვენებანი“. ამ დრამაშიაც, როგორც პირველში, ცოლი სტოვებს ქმარს. ალვინგი (ქმარი), ზნეობრივად გახრწნილი კაცი იყო, სცხოვრობდა ძალიან გარყვნილად და ამიტომ სხეული მოეწამლა. ფრაუ-ალვინგი, მისი ცოლი, რომელსაც ქმარი ჭირივით შეეჯავრა, გაიქცა პასტორ მანდერსთან, რომელსაც პატივსა სცემდა და უყვარდა კიდეც. პასტორი იმ აზრისა იყო, რომ ცოლმა თავის დღეში არ უნდა დაანებოს ქმარს თავი, თუნდ მასთან სიცოცხლე ჯოჯოხეთად გარდაქცეოდეს. ამიტომ მან დაარწმუნა ფრაუ-ალვინგი, რომ მისი ზნეობრივი მოვალეობაა დაბრუნდეს ქმართან. საბრალო დედაკაციც ასე მოიქცა. შეეშინდა საზოგადოების აზრისა და ისევ დაიწყო ცხოვრება იმ კაცთან, რომლისადმიც ზიზღის მეტს არაფერს არა გრძნობდა. მალე ალვინგებს დაებადათ შვილი ოსვალდი.

დედის ტანჯვამ, მამის გარყვნილებამ და ყველა იმ საშინელებამ, რომლითაც სავსე იყო მათი ოჯახური ცხოვრება, დააჩნია ამოუშლელი კვალი შვილის ფსიხიკას. მამა მალე გარდაიცვალა და შვილს სამკვიდროდ დაუტოვა შთამომავლობითი ტვინის სიდამბლე. ერთმა მკურნალმა პარიზში უთხრა ოსვალდს, რომ მისი ავადმყოფობა განუკურნებელია და, თუ ერთხელ კიდევ მოუვიდა ბნედა, მაშინ ვეღარ მორჩება თავის დღეში. როდესაც ოსვალდმა იგრძნო სიდამბლის მოახლოვება, ხვეწნა დაუწყო დედას, რომ მას მიეცა მისთვის საწამლავი იმ წამსვე, როცა ავადმყოფობა დაეწყებოდა. დედა შეშინებული ეკითხება: „მე როგორ უნდა მოვიტანო შენს ტუჩებთან ფიალა საწამლავით, მე, რომელმაც მოგანიჭე შენ სიცოცხლე?“ შვილი უპასუხებს: „მე როდის გთხოვდი, სიცოცხლე მომეცი-მეთქი! ან რა სიცოცხლე მომეცი?! მე არ მინდა იგი, ისევ უკან წაიღე!“

ბნედა ეწყება, და სწორედ ამ დროს მზე ამოდის. ოსვალდი უაზროდ აჰერდება ცარიელ სივრცეს და უცბად ეხვეწება დედას: მომეცი მზე, მზე! დედა იღებს საწამლავს და გაუბედავად ერთ ადგილას დგას; შვილს კი გაუშვერია წინ ხელები და ოდნავ ჩურჩულებს: «მომეცი მზე, მზე!» მზე — სიმბოლოა ბედნიერის ცხოვრებისა, რომელსაც ყოველთვის მოკლებული იყო საცოდავი ჭაბუკი. მხოლოდ ეხლა მიხვდა ფრაუ-ალვინგი თავის შეცდომას, მიხვდა, რომ არ უნდა შეშინებოდა საზოგადოებას აზრისა და არ უნდა დაბრუნებულიყო ქმართან, მაგრამ გვიან-ღა იყო: ამ დაბრუნებამ უკვე საშინელი ნაყოფი მოიტანა.

ჯერ არც ერთ დრამაში იბსენს ისე სასტიკად არ გაეკიცხა საზოგადოების მორალი, როგორც ამ უკანასკნელში. ამის შესახებ ცნობილი კრიტიკოსი გეორგ ბრანდესი ამბობს, რომ იბსენმა ჩააქრო ერთიანად ყველა ვარსკვლავები, ისე რომ მთელს ცის სივრცეში ერთი ნათელი წერტილიც კი აღარა სჩანსო. ამ დრამაში იბსენმა ისე სასტიკად გაჰკიცხა თანამედროვე ოჯახის მდგომარეობა, რომ ქმრები, მამები და დედები საშინლად შეშფოთდნენ. იბსენის წინააღმდეგ გაილაშქრეს საზოგადოებრივ მორალის დამცველებმა. თვით პრესსაც დაუნდობლად ლანძღავდა ნორვეგიელ მწერალს. 1862 წელს იბსენმა უკან მიიღო ყველა თავისი წიგნები, რომელიც სამშობლოში გაგზავნა გასასყიდად. არავის არა სურდა, მისი ახალი დრამა შეეძინა. რა საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა იბსენზე მისი ახალი თხზულების საზოგადოებისაგან ასეთმა მტრულმა მიღებამ, სჩანს მის წერილიდან, რომელიც მან მაშინ გეორგ ბრანდესს მისწერა.

„როდესაც ვფიქრობ, — სწერს იგი, — როგორი ზანტი, მძიმე და მოუხეშავი ჭკუის პატრონები არიან ჩემი თანამემამულეები, სულით ვეცემი და მგონია, რომ დიდის სიამოვნებით თავს დავანებებდი სალიტერატურო მოღვაწეობას. ნორვეგიაში არ არსებობს პოეტურ ნაწარმოების მოთხოვნილება; ნორვეგიელებს ყოველ-დღიური გაზეთები აკმაყოფილებს“.

ამ წერილიდან სჩანს, რომ იბსენს თავზარი დასცა თავის თანამემამულეთა მტრობამ. იყო ისეთი წუთები, როდესაც იგი სულით ეცემოდა, მაგრამ, როგორც ძლიერის ბუნების ადამიანმა, ნაბიჯიც არ გადადგა უკან, და უფრო შეუპოვრად, უფრო დაუნდობლად შეებრძოლა საზოგადოებას თავის ახალ დრამაში. ამ დრამას ჰქვიან „ხალხის მტერი“.

ექიმმა შტოკმანმა აღმოაჩინა, რომ მისი ქალაქის წყლები მოწამლულია.

ეს წყლები საზღვარ-გარედ ცნობილი იყო, როგორც მკურნავი წყლები. შტოკმანის აზრით, წყლები თუმცა მშვენიერის ღირსებისა იყო, მაგრამ ჭაობის წყალობით, რომლის გვერდითაც ჩამოდიოდა სამკურნალო წყლები, იწამლებოდა. ექიმს ეგონა, რომ მისი თანამოქალაქენი ძალიან მადლობელნი გაუხდებოდნენ ამ აღმოჩენისათვის, მაგრამ სასტიკად მოსტყუვდა.

ქალაქი ამ წყლების მეოხებით გამდიდრდა, რადგანაც ავადმყოფნი იქ მიდიოდნენ ყველა მხრიდან თავის მოსარჩენად. რომ გავრცელებულიყო ხმა იმის შესახებ, რომ ეს ცნობილი წყლები არამც თუ არა ჰკურნავს არავის, არამედ სწამლავს კიდეცო, მაშინ ქალაქი ძალიან იზარალებდა. ექიმ შტოკმანის წინააღმდეგ გაილაშქრა ყველაზე უწინ მისმა ძმამ, რომელიც ამ ქალაქის მოურავად იყო. პრესსის წარმომადგენელნი, როგორც გოფსტადი, ბილლინგი და ზომიერების მქადაგებელი ასლაკსენი, ჯერ ექიმს მიემხრნენ, მაგრამ მალე უღალატეს და გადავიდნენ იმათ მხარეს, რომელთაც ძალა ჰქონდათ. ექიმს არ დაუბეჭდეს ის სტატია, რომელშიაც იგი ნათლად ამტკიცებდა, რომ ქალაქის წყლები მოწამლულიაო. მაშინ შტოკმანმა გადასწყვიტა, შეეკრიბა მოქალაქენი და წაეკითხა მათთვის ვრცელი ლექცია, რომელშიაც ნათლად დაუმტკიცებდა ყველას, რომ წყლები მოწამლულია და ქალაქის კეთილდღეობა აშენებულია სხვის მოტყუებასა და ძალუპვაზე. მაგრამ კრებაზე ექიმის მტრებმა მოახერხეს მოქალაქეების აღელვება მის წინააღმდეგ. შტოკმანს კინაღამ სცემეს, მან ძლივს დააღწია თავი, თავის მეგობარ კაპიტანის შემწეობით. ქალაქის მოურავმა ძმა-ექიმი სამსახურიდან დაითხოვა. შტოკმანი კინაღამ სულით დაეცა, ერთხანად ამერიკაში წასვლა დააპირა, მაგრამ მალე გონს მოვიდა, ენერგია ხელახლა დაუბრუნდა, საზოგადოებასთან ბრძოლის სურვილმა დაურბინა ძარღვებში და ბოლოს გადასწყვიტა, დარჩენილიყო და უკანასკნელ ამოსუნთქვამდის ებრძოლნა სიმართლისათვის! დეე, მოქალაქეებმა უწოდონ მას „ხალხის მტერი“, იგი დარჩება თავის სამშობლოში და იქ იმოქმედებს, თუმცა ცხოვრების ასპარეზზე მას მარტოდ-მარტოკა მოუხდება დგომა.

ეს არის მოკლე შინაარსი „ხალხის მტერისა“. რომ კარგად შევიგნოთ და გავარჩიოთ ამ დრამის ალეგორია, მივხვდეთ, რას ნიშნავს მოწამლული წყალი და სხვა, საჭიროა მოვიგონოთ ის გარემოებანი, რომლის ზედგავლენითაც დასწერა იბსენმა ეს დრამა. მოვიგონოთ, რა მტრულად მიიღო საზოგადოებამ იბსენის საუკეთესო და ავტორისთვის უძვირფასესი დრამა „მოჩვენებანი“.

ამ დრამაში ჰენრიკ იბსენი ამტკიცებდა, რომ ოჯახი, რომელიც ზნეობის წყარო უნდა იყოს, მოწამლულია. იბსენი უარს არა ჰყოფდა ოჯახის დიდ მნიშვნელობას, ისე, როგორც შტოკმანი არა ჰყოფდა უარს ქალაქის წყლების მკურნავ თვისებას. იგი მხოლოდ ამბობდა, რომ თანამედროვე საზოგადოებრივ წესწყობილებისა და იმ სიცრუის წყალობით, რომელზედაც აგებულია მთლად ოჯახური ცხოვრება, ცოლ-ქმრობა ხდება უზნეო კავშირად და ხრწნის შვილებს. სწორედ ასევე ექიმი შტოკმანი ამტკიცებდა, რომ მშვენიერ მკურნავ წყლებს ჭუჭყიანი ჭაობი სწამლავს. ეს ჭუჭყიანი ჭაობი იგივეა, რაც საზოგადოებრივი აზრი პირველ დრამაში — „მოჩვენებანი“. საზოგადოების აზრის შიშით ფრაუ-ალვინგი დაბრუნდა ქმართან; იმავე მიზეზით იგი სცდილობდა დაემალა ყველა ის საშინელება, რაც მის ოჯახში ხდებოდა.

უკვე ვთქვი, რა მტრულად მიიღეს დრამა „მოჩვენებანი“ ყველგან და უფრო ცუდად ავტორის სამშობლოში.

ასე მოექცნენ შტოკმანსაც. იბსენი კინაღამ სულით დაეცა; იყო წუთები, როდესაც მას უნდოდა ლიტერატურულ მოღვაწეობისათვის თავი დაენებებინა, მაგრამ ბოლოს მაინც გადასწყვიტა, შეებრძოლოს საზოგადოებას ახალ დრამაში. სწორედ ანალოგიური მდგომარეობა გამოიარა შტოკმანმაც. ექიმიც შედრკა, მოინდომა ამერიკაში წასვლა, მაგრამ ბოლოს მაინც გადასწყვიტა დარჩენა და დაუსრულებელი ბრძოლა საზოგადოების დაცემულ ზნეობის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლის გამომხატველ დრამით იბსენმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. ბრძოლის ველი გამარჯვებულს დარჩა და, როგორც ძლევა-მოსილმა სარდალმა, მან დაიწყო ფიქრი იმ ბრძოლაზე, რომლითაც ისახელა თავი. და სწორედ ეხლა პირველად გაურბინა თავში იბსენს კითხვამ: ღირდა რამე ეს ბრძოლა? გამარჯვებას აქვს რაიმე ფასი? განა ნამდვილად საჭიროა კაცმა მოსპოს ის სიცრუე, რომელიც თანამედროვე ცხოვრების საძირკველია? კარგი იქნება ხალხისთვის, რომ მან დაინახოს სინამდვილე მთელის თავის საშინელებითა და უაზრობით?

იქნება ილიუზია და სიცრუე ცხოვრებისა, რომელიც ბურუსივით გარშემო არტყია საზოგადოების უმრავლესობას, ისეთსავე საჭიროებას წარმოადგენს ადამიანისთვის, როგორც საზრდოობა, როგორც ჰაერი? თუ ეს ასეა, მაშ მთელი მისი ლიტერატურული მოღვაწეობა გროშად არ ღირებულა, რადგან ყველა თავის თხზულებაში იგი ცდილობდა საზოგადოებისთვის სინამდვილე დაენახვებინა, მოესპო ყოველგვარი ილიუზიები და თავის მოტყუილება! ასეთი შავი ფიქრები მოედვა იბსენის სულსა და გულს, და ბოლოს იფეთქა და აალებინა დრამატურგს ხელში კალამი. ამ სულიერ მდგომარეობას მოჰყვა შედეგად საუკეთესო დრამა, როგორც მხატვრობით, ისე ღრმა მსოფლიო აზრების მხრივ, რომელშიაც მწერალი არჩევს იმ კითხვას, თუ რა წარმოადგენს ჩვეულებრივ ადამიანისთვის აუცილებელ საჭიროებას, — სინამდვილის ცოდნა თუ თავის მოტყუილება? რაზეა მისი კეთილდღეობა აშენებული?

მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

**შალვა ნათაძე**

ქრონიკაშიაც—მუშებში აღელვებას ავრცელებდა და მათ აქეზებდა ძალმომრეობის მოსახდენად. მართლაც, ამას მოჰყვა რუსეთში ცეცხლის წაკიდება, მკვლელობა, არეულობა...

ასეა საქმე არა მარტო ოდესაში,—ჰთელ რუსეთშიაც...

სარევოლუციო მიმართულება პეტერბურგის დიდ გაზეთებსაც დაეტყო.

ამას წინად, მაგალითად, ერთი გაზეთი სწერდა: ნუ თუ შემოქმედებითი ძალის უქონლობას დავვწამებთ, თუ ძველ სახლის დანგრევამდის ახალი სახლის სრული გეგმა არ მოვიმზადეთ. დაანგრიეთ ძველი შენობა და მაშინ ახალის გეგმასაც ადვილად გავარკვევთ!

ასე არსებულის დარღვევას ჰქადაგებენ და არ ჩერდებიან ამ ქადაგებაში. ადვილი წარმოსადგენია, თუ რას დასწერენ წვრილი გაზეთები, როდესაც ამას ამბობს დიდი და რუსეთში გავრცელებული გაზეთი!..

ამ მიმართულებას დღეს ემორჩილებიან საზოგადო მოღვაწეები და თვით ადმინისტრაცია,—ივანოვო-ვოზნესენსკში, მაგ., გუბერნატორმა მექარხნეებს გამოუცხადა, აღარ დაგიცავთო და იქიდან სხვა ქალაქისკენაც წავიდა...

გაფიცვას ხელს უწყობენ, გაფიცვა თანდათან იზრდება ყოველგან, ყველგან მკვლელობის ამბები ისმის,—და ამავე დროს მთავრობის წარმომადგენელი პასუხის-მგებლობას თავიდან იშორებს და საქმეშიაც აღარ ერევა.

დარღვევის ქადაგებამ, როგორც ეტყობა, იქაც მოიკიდა ფეხი, სადაც თითქო არ უნდა ჰქონიდა ადგილი,—იმათში, ვინც თვითონ უნდა იცავდეს არსებულ კანონს...

ის ქადაგება თანდათან იზრდება, მისი გავლენა მატულობს... ცხადია ყველასათვის, თუ რა შედეგი მოჰყვება ამას...

# რუსეთი

რუმინიაში **„პოტემკინის" მატროსები** ამნაირად დაუნაწილებიათ: 120 კაცი ბრაილოვში გაუგზავნიათ, 63 ფოქშანში (ამათ შორის არის მატროსი, რომელსაც ორი ნიშანი აქვს: ერთი ჩემულპოს ბრძოლაში მიუღია, ერთიც 1904 წ. 27 იანვარს პორტ-არტურზე მიტანილ იერიშის მოგერების დროს), 120 კაცი გალაცაში გაგზავნეს, 40 ბერლადში და 40 კალარაშუში (ნ. ჟ.).

◆ რეველიდან იტყობინებიან, რომ იქ **კინაღამ მატროსების არეულობა არ მოხდა**. უკმაყოფილების მიზეზი კიდევ ცუდი საჭმელი ყოფილა. 700 კაცმა გაგზავნა წარმომადგენლები კომანდირთან, რომელმაც თვითონ გასინჯა საჭმელი და დარწმუნდა, რომ მატროსები მართლები იყვნენ.

◆ რადგანაც მატროსების არეულობისა ძალიან ეშინიათ, „მინინ"-ისა და „კრემლ"-ის **ყველა მატროსებს იარაღი აჰყარეს** (ნ.)

◆ **საკვირველი სახელი**. „ოდ. ნოვ." ატყობინებენ, რომ შავი ზღვის დივიზიის დასასჯელად „პოტემკინს" სახელი უნდა გამოუცვალონო.

◆ **რამდენი სავაჭრო გემი ყოფილა რუსეთში?** როგორც სავაჭრო ზღვაოსნობის უმთავრესი გამგეობა აცხადებს: 1904 წლის 1 ენკენისთვიდან რუსეთის სავაჭრო ფლოტში 834 გემი იყო. ყველაზე ბევრი გემი შავსა და აზოვის ზღვებზე მოდის—348, შემდეგ კასპიის ზღვაზე—265, ბალტიის ზღვაზე—155, თეთრს ზღვაზე—46 და დიდს ოკეანეზე—20. როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტი გემი შავს-ზღვაზე დადის (ნ. ვ.).

◆ როდესაც ბოქაულის უმცროსი თანაშემწე, შტაბს-კაპიტანი სტახოვიჩი 30 ივნისს, მეეზოვეს თანახლებით, საქმისთვის ერთს სახლში შევიდა, **ერთმა უცნობმა რევოლვერი ესროლა** როგორც სტახოვიჩს, ისე მეეზოვეს. ორივენი დაიჭრნენ. დამნაშავეს გაქცევა უნდოდა, მაგრამ ვეღარ მოახერხა (ნ. ვ.).

◆ „ოდ. ნოვ."-ი იტყობინება, რომ **„პოტემკინი"-ს საქმის გამოსარკვევად** განსაკუთრებული გამოძიება დაინიშნებაო (ნ. ჟ.).

◆ **მაინც თადარიგში არიან.** მეოთხე ესკადრისთვის ნახშირის მისაწოდებლად რუსეთმა გერმანიისაგან შემდეგი გემები შეიძინა: „ნარვა", „რიგა", „გაფსალი", „ნიკოლაევი", „სესტრორეცკი", „სვეაბორგი", „ორანიენბაუმი" და „ლახტა", (ნ. ჟ.).

◆ ბერლინიდან დაბეჯითებით იტყობინებიან, რომ ვაშინგტონიდან დაბრუნებისას **ს. ვიტტე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ადგილს დაიჭერს,** ხოლო რუსეთის პირველ კაბინეტში **შინაგან საქმეთა მინისტრად თ-დი სვიატოპოლკ-მირსკი დაინიშნებაო** (რ. ს).

◆ მართლდება ის ხმები, რომ **ა. გ. ბულიგინი თავის პროექტს** განსახილველად მინისტრთა საბჭოს წარუდგენსო (რ. ს.).

◆ „ნოვოსტი"-ს გაუგია, რომ 2 ივლისს გადაწყდება—**ბულიგინის პროექტი** სახელმწიფო რჩევას შესახებ **ჯერ** სახელმწიფო საბჭოს წარუდგინონ, თუ პირდაპირ გამოაქვეყნონო.

◆ საქარხნო ინსპექტორების დადგენილებას გაფიცვების დაკანონების შესახებ იუსტიციის სამინისტროს არაფერი საწინააღმდეგო არ გამოუთქვამს (ნ.).

◆ **სახალხო წარმომადგენლობის გამოცხადება**, როგორც ამბობენ, მაშინ მოხდება, როდესაც მემკვიდრე ალექსი ნიკოლოზის ძე ერთი წლისა გახდებაო. (რ. ვ.).

◆ როგორც ამბობენ, **ს. ვიტტე ვაშინგტონში** 6 ივლისს წავა. (რ. ვ.).

◆ ტოკიოდან იტყობინებიან, **ს. ვიტტეს რწმუნებულად დანიშვნამ** აქაური მცხოვრებლები ძალიან გაახარაო. (ბ ვ.).

◆ სარატოვის ქალაქის მოურავი ა. ო. ნემიროვსკი ამ სამის დღის წინად **მოსკოვში** წასულა. (ბ. კ.).

◆ რიგაში, როგორც „პრ კრ". იტყობინება, **დაუჭერიათ ერთი კონტრაბანდისტი, რომელსაც პროკლამაციების გადატანა სდომებია**.

◆ ბუქარესტიდან იტყობინებიან: რუმინიის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ **„პოტემკინის"-ს მატროსებს რუსის მთავრობას არას გზით არ მივცემთო.** (ბ. კ.).

◆ **„პოტემკინის" საკითხის გადაწყვეტის შესახებ** რუმინიის მინისტრ-პრეზიდენტს შემდეგი სიტყვები უთქვამს: „მეფე კარლოსი ძალიან კმაყოფილია ამნაირის გადაწყვეტილებით. ჩვენ მხოლოდ ჰუმანიურს პრინციპებს მივსდევდით, რადგანაც რუმინები თავის დღეში არ მოისურვებდნენ რომელისამე სახელმწიფოს ჯალათობას. ჩვენ თავისუფლების წყალობით ვარსებობთ და თავისუფლების შემწეობითაც ავყვავდებითო." (პრ. კრ.).

◆ ბუქარესტიდან იტყობინებიან, **მაყურებლები ათასობით მოდიან და „პოტემკინს" სინჯავენო**. აგრეთვე იყიდება ბევრი ლენტებიც, რომლებზედაც „პოტემკინი" არის დახატულიო (პრ. კრ.).

◆ ვარშავის სამხედრო სასამართლომ **ჩამოღრჩობა გადაუწყვიტა დავით კრაუზეს**, რომელსაც 2 აპრილს ლოძში პოლიციელის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა (ბ. კ.).

# კორესპონდენცია

ს. ბაჯი (ქვემო რაჭა). მას შემდეგ, რაც „ერთობის" ხმა გაისმა, თამამად ითქმის, რომ სოფელიც განახლდა; დიდის ხნის გულ-გატეხილი, იგი გამხნევდა და სულიერად ამაღლდა; მთელის საუკუნოების განმავლობაში არარად ჩათვლილი და აბუჩად აგდებული, დღეს თავის თავს თვითონ აფასებს. შეიგნო, რომ იგიც პიროვნებაა.

სოფელსა ჰყავს თავის-მიერ არჩეული წევრები, რომელნიც სჯიან და ასამართლებენ თავიანთ რწმუნებულთ. დამნაშავე იხდის რამდენსამე მანათს სოფლისავე სასარგებლოდ, ან რამდენიმე დღე სასოფლო გზა უნდა აკეთოს.

ასეთმა ცოცხალმა სამართლიანობამ ზნეობრივად მეტად კარგი გავლენა იქონია მცხოვრებლებზე დიდის ნდობით უჯერიან და ემორჩილებიან მათს განაჩენს, გარდა იმ თითო-ოროლა პირებისა, რომელნიც აქამდე ყოველ-ნაირ შემთხვევით სარგებლობდნენ და სოფელს ატყუებდნენ. ამ უკანასკნელთ არაფრად ესიამოვნათ ღვინოსა, პურსა და სიმინდზე ნიხრის დადგენა, რაც, უეჭველია, მათს ჯიბის გასქელებას ხელს უშლის, მაგრამ იძულებულნი გახდნენ თანხმობა გამოეცხადებიათ, რადგან მცხოვრებთა დიდ ნაწილს „ერთობა" აქვს. მოისპო აგრეთვე ჭირსა და ლხინზე მეტის ხარჯების გაწევა. თუ რამე საჩივარი ან სათხოვარი აქვს მცხოვრებს, მიმართავს „ახალ კანონს", იცის, რომ ამისათვის არავითარი ხარჯი არ სჭირდება და პასუხსაც თავის დროზე მიიღებს. გადაწყდა როგორც ხუთის, ისე ათისა და ოცის წლის სადაო საქმეები.

სიამოვნებით აღსანიშნავია ისიც, რომ გლეხთა და აზნაურთა შორის კავშირი ჩამოვარდა.

დღეს ჩვენებური აზნაური იგივე ნამდვილი შრომის რაინდია, როგორც გლეხი; მას აღარ რცხვენია და არ გაურბის თოხსა და ბარს.

წელს ცუდი, ნესტიო ზაფხულია. მოსავალი სეტყვამ ძალიან დააზარალა; რამდენსამე სოფელში ვენახები მოსპო, პურის ყანები გაანადგურა. სიმინდს ჯერ კარგი პირი უჩანს, თუ ამის შემდეგ არ დაუდგა ცუდი დარი. ფილოქსერამ თითქმის ყველგან მოიკიდა ფეხი და ბევრი ვენახი სანახევროდ გახმო. ქვემო რაჭას ღვინის მოსავალი დიდ დახმარებას უწევს თავის საჭიროების დაკმაყოფილებაში და, როგორც სჩანს, ეს წყაროც მალე დაუშრება, თუ დროით არა იღონა-რა ფილოქსერის წინააღმდეგ.

ა. ჭელიძე.

# წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით რამდენიმე სიტყვა ვსთქვა იმ ინციდენტის გამო, რომელიც სამს ივლისს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების კრებაზე მოხდა და რომელმაც ამდენი მითქმა მოთქმა გამოიწვია, როგორც გაზეთებში, ისე საზოგადოებაში.

ყველას მოეხსენება, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტფილისის სათავად აზნაურო სკოლას ჩვენის საზოგადოებისათვის. ეს არის ერთად-ერთი საშუალო სასწავლებელი, სადაც ღარიბ თავად-აზნაურობას ადვილად შეუძლიან სწავლა მიაღებინოს თავისს შვილებს და შემდეგ მაღალ სასწავლებლებშიაც სწავლის დასამთავრებლად გზა მისცენ. გარდა თავად-აზნაურობის შვილებისა, ამ სკოლაში სწავლობენ და იზრდებიან სხვა წოდების შვილებიც.

ბევრს ისიც მოეხსენება, სხვადასხვა პირობების გამო, რა ეკლიან გზაზე მოუხდა ჩვენს სკოლას წინსვლა, რამდენი დაბრკოლება გამოიარა და, ვინ იცის, კიდევ რამდენი მოელის. მაშასადამე, ყოველი მამულიშვილი, ვისაც კი გული შესტკივა ჩვენის ახალ თაობისათვის, უნდა ცდილობდეს ამ სკოლის წარმატებას, მის დახმარებას, მის გაუმჯობესობას.

ყოველ ამისთანა დაწესებულებას და, მაშასადამე, ჩვენს საზოგადოებასაც, რომელმაც ეს სკოლა დააარსა და დღემდის აწარმოებს, აქვს თავისი საკუთარი წესდება, რომლის ძალითაც განაგებს თავის საქმეებს. მას ამ წესდებით ნება აქვს სკოლების დაარსებისა და ამ სკოლებში სწავლა-განათლების წარმოებისა. ამისათვის ყველა ჩვენგანი უნდა მტკიცედ იცავდეს ამ წესდებას, ვიდრე ეს წესდება, დროების და საჭიროების მიხედვით, არ შეიცვლება.

მეორეს მხრივ, ყოველი ნაბიჯი ამ წესდების რამე მუხლის შეცვლაზე კარგად უნდა იყოს გამორკვეული, გამოანგარიშებული, თუ ეს ცვლილება რა სარგებლობას მოუტანს ჩვენს სკოლას, აწონ-დაწონილი და მერე ისე მიღებული. უეცრივ, ერთბაშად შეცვლა ამ წესდების უმთავრესის მუხლისა საშიშოა იმ მხრით, რომ, ვაი, თუ შემდეგში უფრო მეტი ვნება მოუტანოს საზოგადოებას, ვიდრე სარგებლობა.

აი, ამ აზრით ვხელმძღვანელებდი, როგორც კრების თავმჯდომარე, მასწავლებლებისაგან წარმოდგენილ სასკოლო რეორგანიზაციის განხილვის დროს. თუმცა ეს პროექტი არ იყო აღნიშნული და გამოცხადებული სხვა საგნებთან ერთად გასაშინჯავად და გადასაწყვეტად წრევანდელ კრების-მიერ, მაგრამ კომიტეტი, თანახმად კრების სურვილისა, დასთანხმდა ექონია ამ საგანზედაც კრებას თავისი სჯა, იმ განზრახვით, რომ შემდეგში ეს საგანი გარდაეცა შესამუშავებლად კომისიისათვის, რომელსაც უნდა ვრცლად და ყოველ მხრივ შემუშავებინა ეს პროექტი და მერე წარედგინა საგანგებო კრებისათვის დასამტკიცებლად. და მართლადაც, კრება პირველ ივლისს ამგვარად მოიქცა: სკოლის რეორგანიზაციის პროექტი, სხვათა შორის, თხოულობს, რომ ჩვენს სკოლას მოსამზადებელი ხასიათი შეეცვალოს. ამ საგანზე კრებამ იქონია სჯა და შემდეგ გადასცა იგი შესამუშავებლად და დასასაბუთებლად კომისიას, რომელსაც უნდა შემდეგ კრებისათვის წარმოედგინა დასამტკიცებლად.

ორს ივლისს სკოლის გამგებელმა ბ. ჩიტაძემ წამოაყენა მეორე საგანი, შესახებ სრულის ავტონომიისა, რომელიც უნდა მინიჭებოდა პედაგოგიურ საბჭოს. ამ ავტონომიის წინააღმდეგი არ იყო არც კომიტეტი და არც, რასაკვირველია, კრება. გამგე კომიტეტი მხოლოდ ერთ საგანზე აცხადებდა თავის ეჭვს. ეს საგანი ის გახლავთ, რომ წინდელის წესით (14 მუხლი წესდებისა) სკოლის გამგეს ირჩევს გამგე კომიტეტი, რომელიც პასუხის მგებელია საზოგადოების წინაშე სკოლის საქმეების რიგიანად წაყვანაში, და პედაგოგიურ საბჭოს პროექტით კი ეს უფლება ერთმევა კომიტეტს და ეძლევა მასწავლებლებს, რომელნიც დამოკიდებულნი არიან სკოლის მმართველზე. აი, ეს ფრიად რთული და მძიმე საკითხი იყო მიზეზი იმ სამწუხარო ინციდენტისა, რომელიც მოხდა სამს ივლისს.

პირადად მე იმ აზრისა ვიყავი, რომ, რადგან სკოლის მმართველის არჩევის უფლება ერთი ორგანოდან მეორეზე გადადის, ეს არის შეცვლა წესდებისა და მაშასადამე, წინდაწინ გამოუქვეყნებლად და გასარჩევ საგნების სიაში შეუტანელად, ჩვენ არავითარი უფლება არა გვქონდა დღესვე გადაგვეწყვიტნა ეს საგანი. მე ეს აზრი წარმოვსთქვი წინა დღით, ორს ივლისს, კრებაზე, როდესაც სკოლის გამგებელზე აღძრეს ლაპარაკი. კრებამ ისურვა მაინც ჰქონოდა სჯა ამ საგანზე და მეც დავთანხმდი იმ იმედით, რომ ამ საგანსაც გადასცემდნენ განსახილველად კომისიას, რომელსაც გადასცეს წინა დღით ამაზე უფრო უმნიშვნელო საგანი შესახებ ჩვენის სკოლის მოსამზადებელ ხასიათისა. სამს ივლისს მთელი დღე მოანდომეს ამ საგნის განხილვას. თითქმის ექვსის საათის ნახევარი იყო, როდესაც კრებამ მოისურვა ამ ფრიად რთულის და სამძიმო კითხვის კენჭით გადაწყვეტა.

მე, როგორც თავმჯდომარე, მოვალე და პასუხის მგებელი ვიყავ მთელის ჩვენის საზოგადოების წინაშე, რომ ჩვენს გადაწყვეტილებას კანონიერი ძალა ჰქონოდა კენჭით გადაწყვეტა ამ საგნის, როგორც წინა დღითაც გამოვაცხადე, მე მიმაჩნდა მოუფიქრებლად, უკანონოდ. ჯერ იმიტომ, რომ ამ კენჭის ყრით იცვლებოდა ჩვენი წესდება შესახებ სკოლის გამგებელის არჩევანისა, რაც არ იყო გამოცხადებული იმ საგანთა შორის, რომელიც წრევანდელ კრებას უნდა განეხილა და გადაეწყვიტა. მეორე ისა, რომ იმ ოც-და-ხუთ წევრებს შორის, რომელნიც სიაში იყვნენ ჩაწერილნი, ზოგს არა ჰქონდა ხმა და ხმას კი ითხოვდა. ჩვენ იმის გამორკვევა, ვინ იყო წევრი და ვინ არა, ძალიან შორს წაგვიყვანდა და უფრო ააღელვებდა ისედაც ნერვებ-აშლილ საზოგადოებას, მით უმეტეს, რომ თორმეტ საათიდან ექვსის ნახევრამდე მოიღალა საზოგადოება და ზოგის ორატორის სიტყვებმაც საკმაოდ ააღელვა ხალხი.

ახლა მე მკითხველს ვეკითხები: განა ამ პირობებში შემძლო კენჭი მეყარა ისეთ საგნისათვის, რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენის სკოლის ბედ-იღბალი? ვთქვათ, კენჭიც მეყარა,—განა ამისთანა გადაწყვეტილებას კანონიერი ძალა ექნებოდა? ხომ მეორე დღესვე შეეძლო უკმაყოფილო ნაწილს დაერღვია ეს ჩვენი გადაწყვეტილება. აბა ახლა თქვენ გეკითხებით: მე, როგორც თავმჯდომარე, მაშინ რა მდგომარეობაში ვიქნებოდი? კრების დახურვა კი გამოიწვია იმ უკმაყოფილებამ, რომელიც გამოაცხადეს ყვირილით ზოგიერთებმა შესახებ კენჭის ჩამოუტარებლობისა.

აი, ასე გახლდათ საქმე.

**თ-დი გიორგი ვასილის ძე მაჩაბელი.**

P. S. ვსთხოვ უმორჩილესად სხვა რედაქციებსაც, რომელთაც დაუმსახურებლად მოიხსენიეს ჩემი სახელი, გადაბეჭდონ ეს წერილი და ამით ვათავებ ამ საგანზე ლაპარაკს.

# ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის საგენტოებისაგან)

7 ივლისი.

**ფეროლი**, 6 ივლი. რუსეთის ნაღმოსნები ზღვაში გავიდნენ; შენგრეულ გვერდების შეკეთების ნება არ მისცეს.

**ნიუ-იორკი**, 6 ივლისი. გაზ. „ასსოციადეტ პრესსიმ" გამოაქვეყნა დეპეშა თავის პეტერბურგელ კორესპოდენტის გოვარდ ტოსონისა, რომელიც ვიტტეს მიუღია სადარბაზოდ. ტოსონი იწერება, ვიტტემ მხოლოდ ჩემი ნახვის სურვილი განაცხადა უცხოეთის ჟურნალისტთაგან და მითხრა,—საზოგადოდ არავის არა ვნახულობ, მაგრამ თქვენ იმ ქვეყნის ჟურნალისტი ხართ, რომელსაც ჩქარა უნდა ვესტუმროო, და ამიტომ უარი ვერ გითხარითო. მისალმების შემდეგ საუბარი გადაეიდა იმ დიდ მინდობილებაზე, რომელიც შესანიშნავ სახ. მოღვაწეს ვიტტეს დაეკისრა და რომელიც უცხოეთის ჟურნალ-გაზეთობას ძლიერ აინტერესებს, სახელდობრ იმის გაგება, ვიტტე რომ დაინიშნა ზავის შესახებ მოლაპარაკებაში მთავარ-რწმუნებულად, ამით მართლა სურს რუსეთს ზავის ჩამოგდება, რადაც უნდა დაუჯდეს, თუ არა? ვიტტემ სთქვა: „არა, არა, ხელმწიფეს ჩემთვის იმის გამორკვევა არ მოუნდვია, რომ იაპონელ რწმუნებულებთან მოლაპარაკებიდან შევიტყო, შესაძლოა ზავი თუ არა. პირადად ჩემს შეხედულებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ლამზდორფის შეხედულებასთან კი თანახმა ვარ. მე ხელმწიფეს ვემსახურები, მივიღე მისგან გარკვეული ინსტრუქციები და მის თანახმადაც უნდა ვიმოქმედო. ამ საქმის საბოლოო გადაწყვეტა ხელმწიფეზეა დამოკიდებული. მის ხელთ არის რუსეთის სვე-ბედი. ხელმწიფე ზავის მომხრეა, მაგრამ ეშინობ, იაპონელები ისეთს პირობებს წარმოგვიდგენენ, რომ შეუძლებელი გახდება შეთანხმება. შეცდარნი ბრძანდებიან, ვინცა ჰფიქრობენ, რომ რუსეთს ზავი სურს, რადაც უნდა დაუჯდესო. რუსეთში ორი დასია. ერთი—ყოვლის შემძლე და ძლიერი—ომის განგრძობის მომხრეა, მეორე კი—რომელსაც მეც ვეკუთვნი,—ზავს თხოულობს. ამას გულახდილად გეუბნებით. ჩემის პოლიტიკის დედა-აზრად მუდამ სიმართლე ყოფილა. ომის დაწყებამდეც მშვიდობიანობის დაცვის მომხრე ვიყავი. როდესაც ომმა იფეთქა, გარემოებაც შეიცვალა და, თუმცა ორი დასი არსებობს, მაგრამ დარწმუნებული ვარ შეერთდებიან, თუ იაპონელთა მოთხოვნილებანი რუსეთის თავმოყვარეობას დაამცირებს, ან შეაფერხებს რუსეთის ერის მომავალს. ღრმად დარწმუნებული ვარ, მე რომ იაპონელთაგან წარმოდგენილ მოთხოვნილებათა მიღება შეუძლებლად მიმიჩნია, მთელი რუსეთი დამეთანხმება. რუსეთის ხალხი განაგრძობს ომს რამდენსამე წლიწადს მაინც. რუსეთი ჯერ არც ისე მისუსტებულა, როგორცა ჰგონიათ. რუსეთის შინაური მდგომარეობა რომ მეტად სახიფათო და სერიოზულია,—ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ რუსეთის ამა თუ იმ მოვლენათა მნიშვნელობა გარკვევით არ ესმით ევროპასა და ამერიკაში. უცხოეთის გაზეთების კორესპონდენტები ხშირად აზვიადებენ რუსეთის შინაურ ამბებს და ცრუ ცნობებით შეცდომაში შეჰყავთ ქვეყნიერობა. რუსეთის მომავალი ძლიერ ცოტათი ჩამოჰგავს დასავლეთის სხვა ქვეყნებს. რუსეთი რომ გაიცნო, გაიგო მისი ხალხის სულიერი მდგომარეობა, ამისათვის საჭიროა ან რუსეთში დაბადება, ან დიდის ხნით აქ ცხოვრება. ხალხის ზნე-ჩვეულებანი, ისტორია, ფსიხოლოგია—ყველა ეს ბევრით განირჩევა დასავლეთ ევროპიელთაგან. რუსეთს ვერ შევადარებთ დასავლეთ ევროპას. უზარმაზარი რუსეთი, რომელიც რამდენისამე სხვადასხვა ელემენტისაგან შესდგება, ახლა წარმოადგენს უზარმაზარსავე ოჯახს, რომელიც ინგრევა და იქსაქსება შინაურ შფოთისა და არეულობისაგან, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობა და შინაური უთანხმოება მყისვე მოისპობა, თუ ხალხი იგრძნობს, რომ მისს ქვეყანას საფრთხე მოელის. ტყუილია, ვითომც რუსეთი ჰკარგავდეს ან უკვე დაკარგული ჰქონდეს თავისი დიდ-სახელმწიფოს როლი და გავლენა, და ამიტომ ყველანაირს პირობაზე არ დასთანხმდება. ახლა ჩვენში დიდი კრიზისია, მაგრამ რამდენისამე წლის შემდეგ რუსეთი ისევ დაიჭერს ევროპის სახელმწიფოთა შორის ყოვლის შემძლე და დიდ გავლენიან სახელმწიფოს ადგილს, რომელიც ახლა თითქო დაჰკარგა კიდეც".

**პეტერბურგი.** ოფიციალური ცნობა შორეულ-აღმოსავლეთიდან 6 ივლისს არ მოსულა.

**ტოკიო.** კატცურამ განაცხადა, ის ცნობები, ვითომც იაპონია დროებით ომის შეწყვეტას არ დათანხმდა, მართალი არ არისო. რუსეთს ეს არაოდეს არ უთხოვნია. რუსები ჩრდილო-კორეაში თანდათან უკან იხევენ. ტუმენის სამხრეთ ნაპირს რუსებს ჰყავთ ორი ათასი მხედარი.

**ლონდონი.** „კორუტელი რევიუ", უფრო თვალსაჩინო ჟურნალი კრიტიკის მხრივ, ამბობს, ამჟამად ცრუ იდეა არის გაბატონებული, ვითომც მოლაპარაკება ომის დროს უთუოდ ზავის მოახლოვებას მოასწავებსო. კონვენტისა და დირექტორიის დროს მოლაპარაკება ომის განგრძობას ხელს არ უშლიდა. როდესაც ნაპოლეონი იბრძოდა და იმარჯვებოდა, იმავე დროს მის წარმომადგენლებს მუდმივი თათბირი ჰქონდათ ინგლისის, ავსტრიისა და რუსეთის რწმუნებულებთან. თანახმად მის მოქმედებისა და ძლიერებისა, მისი პირობებიც იცვლებოდა. აქედან ის დასკვნა შეიძლება გამოიყვანოთ, რომ შორეულ-აღმოსავლეთში მშვიდობიანობის აღდგენის მოახლოვება ჯერ კიდევ საეჭვოაო.

**გოქიდანი.** 4 ივლისს დილის 8 საათზე პაშკევიჩის ყურეს პოსიეტის სამხრეთით, იაპონელების ხუთი ნაღმოსანი მიუახლოვდა და ყუმბარები დაუშინა.

**კანადა.** ნავთსადგურში მოვიდა გემი „მინესოტა", რომელმაც რწმუნებული კომურა და მისი შტაბი მოიყვანა.

**ტოკიო.** ჩინელ მოხელეებს, რომლებიც იგზავნებიან სხვადასხვა ქვეყნებში საკონსტიტუციო მართველობის შესასწავლად, საიდუმლოდ საქმეებიც დაევალება მანჯურიისა და სხვა საკითხების შესახებ. ისინი ეცდებიან დაითანხმონ სახელმწიფოები, რომ საერთაშორისო კონფერენცია მოიწვიონ შორეულ-აღმოსავლეთის საქმეთა შეს

პოკატილოვი, ამერიკიდან მომავალი, ნ საკს მივიდა.

**პეტერბურგი.** [illegible] მე 168 №-ში დაბეჭდილი იყო ცნობა, ვითომ პეტერბურგმა ისევ მიიღო ომიანობის დროის გამოცხადებულ ქალაქის სახე და ვითომ 23 ნავთსადგურში პოლიციასა და მუშებს შეტაკება მოსვლოდეთ, რომლის დროსაც იარაღი ეხმარათ. სენებული იყო აგრეთვე, ვითომ გაფიცულთ ბელ ფაბრიკა-ქარხნის მუშებიც შეუერთდნენ. ბა თავით ბოლომდე მტკნარი სიცრუეა.

**პეტერბურგი** 6 ივლისს პუტილოვის მუშებს ანგარიშს უსწორებდნენ პირველ დაითხოვეს 1700 მომუშავე. ამ დროს სიწყნარე იყო. ადგილობრივ გაკრულია განცხადება, რომ მარებელთა საზოგადოების სასადილო ღია და 7 ივლისს 12 საათიდან 1 ნახევარ საათამდე.

**ტოკიო.** უელსის პრინცი, ინდოეთის იაპონიამდე იმოგზაურებს.

**პეკინი.** ვიცე-კოროლი იუანშიკაი ამზადებს ექტს მართვა-გამგებლობისა და ადმინისტრაციის წესრიგების შესახებ.

**პეტერბურგი, 7 ივლისი.** სამხედრო მთავ სამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი მ სკისა, რომელსაც სიკვდილი ჰქონდა განჩენი დვინის პოლიცმეისტერის მოკვლის განზრახვისათვის განაჩენი გააუქმა და საქმე ახლად განსა დააბრუნა.

საღამოს 6 საათზე სტატს-სეკრეტარი ვიტ ზღვარ გარედ გაემგზავრა.

**ლონდონი.** ქვემო-პალატამ მესამედ წ დროს მიიღო ბილლი უცხოელთა შესახებ, 214 უმეტესობით 136 წინააღმდეგ,

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

# გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო,** მი ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—1 ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხ

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:**

**ავლაბრისა**—კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

**კუკიისა.** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმ ექიმი კ. გძელიშვილი.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგარ ექიმი თათევოსიანცი.

**დიდუბის განყოფილება.** ექ. შჩერბინა

**თვალის სამკურნალო**—კრილოვის ქუჩა, უესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ გამგე პუტიატა.

**ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფ** უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

**სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმ** იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 გამგე ექიმი ისტამანოვი.

**გადამდებ სენით ავადმყოფთათვის** უფასო სა მყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადებანი

ახალი წიგნი
გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღ
აგრეთვე „ივერიის" რედაქციაში
ნაწერები
პეტრე უმიკაშვილისა
გამოცემა „ცისკარი"-ს ამხანაგობისა.
წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამ
ნიმე ილუსტრაცია.
ფასი 30 კაპ.
(30—1)

საინტერესო და საყურადღებო ახალი რომანი
„ცხოვრება და სიყვარული"
წიგნი დიდი ზომისაა, დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანით, მაგრა შეკერილი. შეიცავს გვერდს და გაგზავნით ღირს **მხოლოდ ორ აბაზად.** იქავე ისყიდება „ლექსები და პოემები" მოთხრობა თანამედროვე ცხოვრებიდან „ვარინკას ამბავი". თითო წიგნი შეიცავს ას გვერდზე და გაგზავნით ღირს მხოლოდ თითო აბაზად. გამოწერა შეიძლება მარკებითაც. მსურველთ მიმა სადგურ მიხაილოვში, ბათუმისკენ რკინის გზის ბილეთების გამყიდავ კასირს ჩარხიშვილს. Ст.
кассиру Чархишвили.

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წლიწადი მესამე)
ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებ, თეორიულად პრაქტიკულად, **ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, საზოგადო სავაჭრო ბანკისსა, კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსია), ფინანსიურ მონანგარიშებასა, არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, კომერციულ კორესპონდენცია ვაჭრობის ისტორიასა, ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებში.**
(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).
სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის თავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწ ენკენისთვის 10-ს 1905 წ.
**ადრესი:** ტფილისი, **ალ. ზ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 9 ს-დის, უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.
**მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე საბუხჰალტერიო სისტემებსაც.**
ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდე შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.
**პროგრამა კურსებისა იბეჭდება და მსურველთ უფასოდ შეუძლიანთ მიიღონ.**
**ალ. ზ. საათაშვილი.**
(15—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 7 юлія 1905 г.

ელექტრონით მბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის ქ., № 5.